1929

№ 21. წელიწადი პირველი

20 ნოემბერი

ფასი ყველგან 15 კაპ.

# დროშა

## საბავშო ბაგაში



საბჭოთა ხელისუფლება ზრუნავს მუშათა ბავშვების აღზრდისათვის

ბიბლიოთეკა



მოწაფეები და პიონერები დონის როსტოვში აგროვებენ ლითონის ნივთებს გადასადნობად



ლონდონში იფეთქა გენერალურ კომპანიის კონდუქტორების და ომნიბუსის მემანქანეების გაფიცვამ, რამაც შეაშფოთა ლონდონი.



ამხ. ჰანს შ რ ა დ ე რ, „როტე ფანეს" რედაქტორი, რომელსაც გერმანიის სოციალ ფაშისტურმა მთავრობამ მიუსაჯა $2^1/_2$ წლის ციხე.




ბერლინში გაიმართა მუშათა დემონსტრაცია. პლაკატზე სწერია: მუშებო, იბრძოლეთ საბჭოთა კავშირისათვის ჩვენი პროლეტარულ სამშობლოსთვის!



ახალ ტრაქტორებს ამუშავებენ ორი მატორით, თან აქვს საზარდო ჰიდრავლიური ეტლი, რომლიდან ერთი კაცი ადვილად აწდენს დატვირთვა-გადმოტვირთვას.




საფრანგეთის პროლეტარიატმა ამ დღეებში მოიპოვა უდიდესი გამარჯვება რეაქციონურ მთავრობაზე, რომელსაც სურდა მუშათა და გლეხთა ბანკის ლიკვიდაცია. მუშებმა და გლეხებმა გაამაგრეს ბანკი ახალი ანაბარების შეტანით.

სურათზე— პოლიციის ავტომობილები მუშათა და გლეხთა ბანკის შენობის წინ პარიზში




ბერლინის მუშებმა მოაწყეს დემონსტრაცია იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც ხლუდავს მუშათა პროფ. კავშ. ფულებებს. პლაკატებზე სწერია: „მასიურ ძარცველობის წინააღმდეგ".

# დროშა



ამხ. მ. კახიანი ტრიბუნაზე ოქტომბრის დღესასწაულებში.

F749

## გაძლიერებული იერიშებით წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობის გზაზე მშრომელ მასას ხელს უბორკავს სიბნელე, უვიცობა და წ.-კითხვის უცოდინარობა. ეს ის შავბნელი მემკვიდრეობაა, რომელიც უანდერძა მას მეფის რეჟიმმა თავის მრავალსაუკუნეთა ბატონობის შედეგად. წერა-კითხვის უცოდინარობა, კულტურული უძლურება და სიბნელე დღეს ერთ-ერთი მთავარ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის აღორძინების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საერთოდ საბჭოთა მშენებლობისათვის. საბჭოთა ხელისუფლებამ ამ სენს თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა, ხოლო ხუთწლიანი გეგმის გატარებასთან ერთად მთელი თავისი სიმწვავით დასვა კულტურული რევოლიუციის საკითხი. ჩვენი ქვეყნის გიგანტური აშენებლობა მოითხოვს ყველა ცოცხალი ძალების აქტიურ შეგნებულ მონაწილეობას ამ საერთო საქმეში, მუშა, გლეხთა და მშრომელ ინტელიგენტურ ძალების ერთმანეთთან შედუღებას და მჭიდრო დარაზმვას ამ საერთო მიზნისათვის. ეს არის ერთ-ერთი მთავარი პირობა ჩვენი წინსვლისა, ეს არის ერთ-ერთი საფუძველი ჩვენი საბოლოო გამარჯვების.

კულტურულ სიბნელის, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად იხარჯება საგრძნობი თანხები და მუშაობენ ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი ძალები. მაგრამ ამ ბრძოლამ დღემდე ვერ მოგვცა საჭირო შედეგი; წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, მშრომელი ძალების სიბნელის დაძლევა, შეიქნა ძალიან ძნელი და მას დასჭირდა გაცილებით მეტი ძალები, გაცილებით მეტი ხარჯები. რამდენად მასიურია ეს სენი, იმდენად ენერგიული და სისტემატიური ბრძოლაა საჭირო მის წინააღმდეგ. დღეს უკვე ცხადი გახდა, რომ მარტო სახელმწიფოებრივი ძალებით ამ სენთან გამკლავება შეუძლებელია. ამ საერთო მტრის დასაძლევად საჭიროა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ძალების გაერთიანება. მუშა, გლეხი, ყოველი პატიოსანი მშრომელი ქალი თუ კაცი უნდა ჩაებას ამ ბრძოლაში ამ ბრძოლის გარეშე ვერ დარჩებიან ვერც ჩვენი სამეურნეო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა ნივთიერ დახმარებას შეუძლია მეტად შეუწყოს ხელი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დაჩქარებას.

საზოგადოება „წერა-კითხვა", რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ძალთა მთავარ ხელმძღვანელ ცენტრს ამ ფრონტზე, მოუწოდებს ყველას საერთო ძალღონით გადამწყვეტი იერიში მიიტანონ უკულტურობისა და სიბნელის წინააღმდეგ. საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს კვირეული, რომელიც დაიწყო ნოემბრის ხუთიქტიდან, გულისხმობს თავი მოუყაროს და დარაზმოს ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალები, მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია, წითელარმიელები და მოსწავლე ახალგაზრდობა და მათი საშუალებით გარდამწყვეტი შეტევა აწარმოოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ფრონტზე.

მუშებო, გლეხებო, წითელ არმიელებო და ყველა მშრომელო ინტელიგენტებო, შემჭიდროვებული რიგებით, გაასკეცებული ენერგიით შეუტიეთ მშრომელთა საერთო მტერს, წერა-კითხვის უცოდინარობას, უკულტურობას და ჩამორჩენილობას. ყველანი დაირაზმეთ საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს რიგებში.

# მოსკოვი—ნიუ-იორკი
## „საბჭოთა ქვეყნის“ ბრწყინვალე გადაფრენა

23 აგვისტოს გათენებისას „საბჭოთა ქვეყანა“ აფრინდა მოსკოვის აეროდრომიდან *) და 1-ლ ნოემბერსა დაეშვა კერტისის აეროდრომზე ნიუ-იორკში.

ეს არის უაღრესად ისტორიული გადაფრენა, გადაფრენა სამ მატერიკზე ყველაზე უფრო არახელსაყრელ მიმართულებით ევროპიდან ალმოსავლეთით, წყნარ ოკეანეზე, წარმოუდგენლად მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში. ეს არის ამ ხაზით პირველი გადაფრენა აეროპლანით ევროპიდან ამერიკაში და ეს გადაფრენა შესრულებულია საბჭოთა კონსტრუქციის, საბჭოთა მასალებიდან დამზადებულ აეროპლანით და საბჭოთა მფრინავების ძალებით.

20.000 კილომეტრი, რომელიც „საბჭოთა ქვეყანა“-მ გაიარა, მცირეოდენის გამოკლებით, წარმოადგენს განუწყვეტელ ბრძოლას ნისლთან, ქარიშხალთან და გრიგალებთან, რომლებიც ყოველ წუთს დაღუპვით ემუქრებოდნენ ჩვენს გმირ მფრინავებს.

რუსეთის ევროპიული ნაწილი, ციმბირი, ოხოტსკის ზღვა, ბერინგის ზღვა, წყნარი ოკეანე, შემდეგ—ამერიკის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე—მთელი ეს გზა წარმოადგენს განსაცვიფრებელ სხვადასხვაობას კლიმატიური და გეოგრაფიული თვალსაზრისით. საბჭოთა მფრინავებმა გამოიჩინეს არაჩვეულებრივი გამძლეობა, სიფხიზლე და ცოდნა იმ უამრავ დაბრკოლებათა გადალახვაში, რომლებიც მათ წინ გადაეღობა.

მთელი მანძილი მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე (20,580 კილ.) მათ გაიარეს 130 საათში, 150 კილომეტრის საშუალო სისწრაფით საათში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა მფრინავებს ფრენა უხდებოდათ ხმელეთის ტიპის აეროპლანით. ზღვებზე და ოკეანეზე გადაფრენის დროს ისინი იძულებული იყვნენ აეროპლანი გადაექციათ გიდროპლანად—ე. ი. მისთვის ბორბლები საცურავ ბით შეეცვალათ.

„საბჭოთა ქვეყნის“ გადაფრენა „საბჭოთა ფრთების“ ბრწყინვალე გადაფრენის შემდეგ ევროპაში (170 კილომეტრის საშუალო სისწრაფით საათში) და ამხ. ბარანოვის განსაცვიფრებელი გადაფრენის შემდეგ პამირზე, ახალი ბრწყინვალე ფურცელია საბჭოთა ავიაციის ისტორიაში.




„საბჭოთა ქვეყანა“ დოტჩ ხარბორის ნავთსადგურზე (ალეუტის კუნძულებზე) ამერიკელი მეზღვაურები ტვირთავენ საწვავ მასალით.

მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ ჩვენი მიღწევები. ისინი იძულებული არიან აღიარონ ჩვენი მიღწევები სამეურნეო ფრონტზე, რადგან ამ მიღწევების გარეშე არ გვექნებოდა საკუთარი კონსტრუქციის აეროპლანები, რომელთაც შეუძლიათ თამამად გაუწიონ მეტოქეობა უცხოეთის გამოცდილი ფირმების უკანასკნელი კონსტრუქციის აეროპლანებს.

„საბჭოთა ქვეყნის“ გადაფრენა არ წარმოადგენს მხოლოდ ჩვენი მიღწევების დემონსტრაციას. მას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ის საზეიმო შეხვედრა, რომელიც ჩვენს მფრინავებს შეერთებული შტატების ქალაქებში

*) გადაფრენა დაიწყო 8 აგვისტოს, მაგრამ ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო აეროპლანი დაეშვა ჩიტის რაიონში, ყრუ ტაიგაში. რადგან აეროპლანის გამოტანას ტაიგიდან დრო უნდოდა, გადაწყდა გადაფრენის ხელმეორედ დაწყება მოსკოვიდან იმავე ტიპის და კონსტრუქციის ახალი აეროპლანით.




„საბჭოთა ქვეყანა“-ს გადაფრენის გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საბჭოთა ქვეყანა“-ს მფრინავები


ს. ა. შესტაკოვი.


დ. ვ. ფუფაევი.


ფ. ე. ბოლოტოვი.


ბ. ვ. სტერლიგოვი.

გაუმართეს, იმის მაჩვენებელია, თუ როგორ განსხვავდება შეერთ. შტატების ოფიციალური წრეების პოზიცია საზოგადოებრივი აზრის განწყობილებისგან.

გულმხურვალე მიღება, რომელიც მთელ რიგ ქალაქებში გაუმართეს საბჭოთა მფრინავებს, წარმოადგენს იმ პოლიტიკური ხაზის არაპირდაპირ გაკიცხვას, რომელსაც შეერთ. შტატების მთავრობა დღემდე ადგია საბჭოთა კავშირის მიმართ.

განსაკუთრებული ენტუზიაზმით შეხვდა საბჭოთა მფრინავებს შეერთ. შტატების მუშათა კლასი.

მზადება საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების საჰაერო ელჩების შესახვედრათ დაიწყო დიდი ხნით ადრე. შეერთ. შტატების მუშათა კლასმა გადასწყვიტა საბჭოთა მფრინავების მოფრენა შეერთ. შტატებში აღენიშნა ისეთი საჩუქრების მომზადებით, რომელსაც ყველაზე უფრო საჭიროებს საბჭოთა ქვეყანა —ტრაქტორების გუნდის შეძენით.

შეერთ. შტატების კომპარტიის ყველა ორგანოები ამ სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში სავსეა მისალმებებით საბჭოთა მფრინავებისადმი და ტრაქტორების შესაძენათ ფულის შემომწირველთა გრძელი სიებით.

ამხ. შესტაკოვის, ბოლოტოვის, ფუფაევის და სტერლიგოვის გმირულმა გადაფრენამ გააძლიერა ის ძაფები, რომელიც შეერთებული შტატების მუშებს აკავშირებს საბჭოთა ქვეყანასთან.

მ. წ.

# წიგნიდან „ახალი გლეხები“.

ზემო ქედის კომუნაში ჩქარი ტემპით დაიწყო ახალ ყოფა-ცხოვრების მატერიალური გაფართოება; საერთო სასადილო, რამდენიმე საერთო ბინა, რომელთა მაგიერ უკვე შენდება ორმოც ოთახიანი საერთო საცხოვრებელი. განზრახულია კლუბის აგება, მაგრამ კომუნარების ნამდვილ სიხარულს საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი შეადგენს, რომელნიც წელს იქნა გახსნილი ჯანსახკომისა და განსახკომის მიერ და სავსებით უზრუნველყოფილნი არიან სათანადო მოწყობილობებით; ბაგა და ბაღი, განსაკუთრებით კი ბაგა, მოვლილი და ბეჯითი ხელების წყალობით სუფთად გამოიყურება; პატარ-პატარა საწოლებზე თეთრულათ იღიმებიან კარგათ მოვლილნი, ჩამრგვალებულნი და ჯანსაღი ბავშვები; საბავშვო ბაღს კი ფუფუნებობა ემჩნევა; ბავშვების საწოლი და სასადილო ოთახები არეულობით და დიდი ხნის მიულაგებლობით ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო ბაღი გამგზავრების ფაციფუცში იმყოფებაო; ბაღში სადილობის დროს მივედით. პატარა მაგიდებს უსხდნენ ბავშვები და ვარჯიშობდენ კოვზებით; ვარჯიშობდენ, რადგან სადილობა არ შეიძლება ეწოდოს იმგვარ ჭამას, როდესაც მე ვნახე იქ. კოვზების ხმარებას შეუჩვეველ ბავშვებს წვენი ელვარებოდათ, ზოგიც პირდაპირ თეფშში ყოფდა ენას, სჭამდენ უთავბოლოთ, არეულათ; საბავშვო ბაღის პერსონალს კი, ბავშვების სადილობაზე თვალყურის დევნების, სწავლის და გაწვრთნის მაგიერ მშვიდათ ეძინათ. ჩვენ გავაღვიძეთ. ორი ახალგაზრდა ქალი ზმორებით გამოვიდა ოთახიდან. გამოველაპარაკეთ. ჩვენ მიერ ნახული და მათ მიერ თქმული ძალიან ცოტას ლაპარაკობდა ბაღის ხელმძღვანელების უნარიანობის სასარგებლოთ.

— განსახკომმა გამოგვიგზავნა კომუნაში! ჯამაგირი კი მიიღონ, სხვა რა ენაღვლებათ მაგათ! იქ ბაგაში კი მომვლელათ კომუნის ქალები არიან; ჩვენ თბილისში გავაგზავნეთ სამი ქალი, იქა კურსები გაათავეს... ეგრე უვლიან ბაგას, რომ შესვლა გიხარიან, თვალს სიამოვნებს! ეხლა კიდევა რამდენიმე ახალგაზრდას ვაგზავნით ქალაქში სწავლის მისაღებათ, სხვადასხვა დარგებზე; ერთი კომუნარი აგრონომი, გარედან მოწვეულ ათ აგრონომს გვირჩევნია! რათა? იმათი, რომ შეიძლება ჩვენი კაცი ეგეთი სწავლული ვერ გამოვიდეს, მაგრამ კომუნის ერთგული კი ძალიან იქნება! კომუნის საქმეს ფრთხილათ და ანგარიშიანობით მოეკიდება; ჩვენი უბედურებაც იმაშია, რომ ეგეთები ჯერ-ჯერობით ვერ გამოვზარდეთ... გულდაწყვეტით მითხრა სტეფანემ, როცა ბაღიდან დავბრუნდით და იქ არსებულ უწესობებზე ჩამოვუგდე სიტყვა.

„ჩვენი აგრონომი, ჩვენი მჭედელი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბუხგალტერი...

ოცნებობს კომუნა.

წელს ექვსი კომუნარი იგზავნება სასწავლებლათ სასოფლო-სამეურნეო და საქსოვნო-საფაბრიკო სკოლებში.

განსაკუთრებით პატივისცემით იხსენიებენ ბუხგალტერს.

— აგრონომმა და მჭედელმა საქმე რომ წაახდინოს, მიუხვდებით და გამოვასწორებთ; ი ციფრები კი იმისთანა ეშმაკური რაღაცაა... ერთი ნოლი რომ მეტ-ნაკლები მოგივიდეს, მთელი კომუნის ანგარიშიანობა აირევა, ჩვენ კი ვერას გავიგებთ...

—

დაარსების დღიდანვე დიდი მომჭირნეობა გამოიჩინა კომუნამ. ღარიბი მეურნეობის მოწყობის და გაძლიერების მიზნით კომუნარები ყოველ გროშს ზოგავდენ და ხშირათ აუცილებელ მოთხოვნილებებსაც კი არ იკმაყოფილებდენ; ასეთ პირობებში მოსალოდნელი იყო უკმაყოფილების გაჩენა და გულგატეხილობა—და თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ კომუნაოებმა დაარწმუნა გლეხურმა და საღმა გონებამ, რომ დღეს დაზოგილ გროშების ხარჯზე იზრდება მეურნეობა და მათი ცხოვრების უზრუნველმყოფელი **ხვალე;** ტრაქტორებმა დიდი ნდობა აღუძრეს მათ საბჭოთა ხელისუფლებისადმი; ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა, რა არის კომუნა, რა მნიშვნელობა აქვს მას გლეხურ მეურნეობის გარდაქმნისათვის, მაგრამ ისინი ინსტინქტიურათ გრძნობდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მათი ცხოვრების გაუმჯობესებას ცდილობს.

— უწინ მთავრობა იმისთანა იყო, რომ ჩვენთვის გაეძრო ტყავი და თვითონ რბილათ დამჯდარიყო! ეხლა კი მთავრობასა ჩვენი გულისთვის ძვრება ტყავი-ო.

ამის შეგნებამ კომუნაში დაამყარა ერთსულოვნება და გაჭირვება ადვილათ ასატანი და მოსათმენი გახადა. წევრთა რიცხვის გადიდებამ ბინის საშინელი კრიზისი წარმოშვა. რამდენიმე ოჯახი ერთ ოთახში ათევდა ღამეს. ზოგიერთებს ამის შესაძლებლობაც არ ქონდათ.

— ეგეთი დრო იყო, ცოლს და ქმარს ერთად დაწოლის საშუალება არ ქონდათ!

სიცილით ჩამილაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ და გვერდით მდგომ ამხანაგს მრავალმნიშვნელობით გადახედა.

აგერ მანქანა-იარაღების საწყობი... უზარმაზარი თავლა...

— ავდარი და ყინვა მანქანას გააფუჭებდა, საქონელს დახოცავდა! ჩვენ კი გავძლებდით როგორმე. დიდი საერთო საცხოვრებელი ბინის პროექტი შევადგინეთ, მაგრამ მის ასაგებათ დიდი თანხები იყო საჭირო; ჩვენ არ გვქონდა. სესხის აღებიდან კი თავი შევიკავეთ! ისედაც ვალებში ვიყავით, კიდევ დიდი ვალის აღება მთლათ შეაფერხებდა ჩვენ მეურნეობის განვითარებას! გავიჭირვეთ ორი წელი და... გვეღირსა წლის მოსავლება! ხვალ-ზეგ შეუდგებით შენობას...

მომჭირნეობის და მეყაირობის წყალობით არაჩვეულებრივ სისწრაფით გაძლიერდა ნივთიერათ კომუნა—და ისეთი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, რომ კომუნარებმა პროდუქტების განაწილებლათ, შესაძლებლობის და მოთხოვნილების წესი შემოიღეს: „გააკეთე რაც შეგიძლია და მიიღე, რაც გესაჭიროება...

შრომის ანაზღაურების ასეთი ფორმა სავსებით სოციალისტურია. მაგრამ ჯერ-ჯერობით, უმეტეს შემთხვევაში, ის უარყოფით გავლენას ახდენს კომუნის სოციალისტურ ინტერესებზე და ხშირად შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზათ ხდება; ამ თემაზე კობასთან მომიხდა საუბარი.

ზემო ქედიდან სოფელ არიხილის კალოს კომუნაში მივდიოდით; კობა ყოფილი მოჯამაგირეა. პარტიული. ზემო-ქედის კომუნის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. შირაქის ღარიბ გლეხს და მოჯამაგირეს უყვარს კობა; მისი სახელის ხსენება, ისევე აბრწყინვებს მათ სახეს, როგორც მინდორზედ გაშვებულ ტრაქტორის დანახვა. კობა ახალი ცხოვრების სიმბოლოა მათთვის; სიტყვა „კომუნა“ მან შეიტანა პირველათ შირაქში და იდეა აქცია გრძნობათ.

საშუალო ტანის. ჩასკვნილი. წითური. რაღაც ჩუმი სიხარულით განათებული სახე. ცისფერი თვალები... ერთი შეხედვით ჩვენ-

ლებრივი გულკეთილი და უფერო გლეხი... მაგრამ საკვირისთა გამოელაპარაკოთ ან შეედავოთ, კოია იგვირად გამოიცვლება, რომ გვეგონება: ცილისამ მოგატყუა და მოსაუბრე გათოგლეულა. უბალნო სახეზე სიმბილე წადმლება, წყლიანი თვალები გაეყინება და ხედვას გაგისწორებს; ამისთვის მისი სიტყვები თითქო უფრო დამძიმდებიან, გამაგრდებიან და პატრონის აზრების მილებას დაგამალებენ; თვალებს არ გაშორებს სახიდან და ეგ ეჭხიანი ცქერა გიჭერს და ოდნავათ კიდეც გაყუხებს; როგორც ხელშესახებ საგანს, ისე გრძნობ ამ გლეხის მართლაც რომ რკინისებურ ნებისყოფას.

— მოთხოვნილების მიხედვით შრომის ანაზღაურება ჯერ ნაადრევია! ეგ შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა ადამიანები ძალდაუტანებლათ იშრომებენ, როცა შრომა ჩვეულებათ და მოთხოვნილებათ გადაიქცევა; ჯერ-ჯერობით ჩვენ შორის ვართ ისისგან,—შეგნება და მომზადება გვაკლია; მრავალრიცხოვან კომუნაში თავის მოვალეობის არა პირნათლათ შემსრულებელნიც მოხვდებიან; როცა პროდუქტების განაწილება მოთხოვნილების და მიხედვით იქნება, მაშინ ბევრითი და მუყაითი მუშები იტყვიან:—ჩვენ ვმუშაობთ, ისინი კი ჩვენს ანგარიშზე ცხოვრობენო! ბეჯითებიც გულს აიცრუებენ მუშაობაზე; დაეცემა შრომის ნაყოფიერება. ამას შესაძლებელია კომუნის დარღვევაც მოჰყვეს!

ვსთქვი მე.

კობამ ნაბიჯი შეანელა.

— შენც იმას იძახი, რასაც ამას წინათ ცენტრიდან ჩამოსული მომხსენებელი იძახოდა: „უძჯობესია მტკიცე ჯამაგირები დაუნიშნოთ წევრებსო—ჯილდოების შემოღებასაც გვირჩევდა; კომუნამ უარყო მისი წინადადება. ოქვენ ორივე მართალი ხართ საერთოდ... ჩვენი წესი ყველგან არ გამოდგება, მაგრამა ჩვენთან სხვა პირობებია! ყიალის მოყვარული და ზარმაცი წევრები არ გვირევია; მეგობრული კავშირის შექმნითა, წევრებში თანხმობის განმტკიცებითა, იგინს კომუნას ბადალი არ ჰყავს საქართველოში; ყველანი კეთილსინდისიერათ მუშაობენ, სანახავ რამეთ ღირს!

— კომუნარი მინდორში წაიდა ძნების მოსატანად. ესთქვათ, ერთის დატვირთვას ერთი საათი სჭირდება; მუშაობა დაეზარა და დაიწყო ზარმაცობა: საათში გასაკეთებელ საქმეს, ორ თუ სამ საათს ანდომებს; როგორ შეიტყობთ?

— ეგ რა ძნელი რამ არის?! შრომის აღრიცხვას ვაწარმოებთ. წევრები რამდენ საათსაც მუშაობენ, რამდენსაც აკეთებენ, ტაბელში იწერება: მიცემულია ნორმა; არ შეასრულა? უზარმაცნია: ზარმაცებს კი ვასწორებთ;

— რომ არ გამოსწორდეს?

— გასწორდება.

ეჭნიანათ წამოიძახა კობამ:

— განა ცოტა გვყავდა და ცოტა გავასწორეთ! გაუსწორებელს არ ედგომება ჩვენთან. აბა ვინ იქნება ეხლა იგეთი და ჩვენისთანა მოწყობილი კომუნა, მუშაობა მეზარებაო, და მაგისთვის დასტოვოს!

— ტრაქტორის მოსვლამდება გლეხი?!

შეჩერდა, გზათ მიმავალ გლეხებს გამოელაპარაკა, მოსავლის შესახებ გამოჰკითხა და ისევ საუბრის თემას დაუბრუნდა:

— ჯილდო! წევრებს გაახალისებსო! ერთი რომ მიიღებს, მეორეც ინტერესში მოვა, შეეცდება ჯილდოს დამსახურებასო. ვის უნდა მიეცეს ჯილდო! ვინც ვაშის გამოიგონებს, გააუმჯობესებს, ახალ საქმეს წამოიწყებს, სხვაზე მეტ სარგებლობას მოგვიტანს.

მოი ერთგულათ ემუშაოს, არ ეზარმაცოს, მაგრამ ვერაფერი ახალი ვერ გამოიგონე, ვერ მოიფიქრე. რათ უნდა დავიჩაგრო? რაც ჯანი და მოხერხება გამაჩნია, განა დავიშურე, განა უჭმათ გავთანე?! არა. ჩვენმა წევრმაც განაცხადეს: ჩვენ შეგნებულები ვართ; კომუნისათვის სასარგებლო საქმის გაკეთებას თუ ვინმე შეიძლებთ, ისედაც გავაკეთებთ; შენზე მეტი შემიძლია? მეტს გავაკეთებ, ესი თავილი რომ სიხარულით და პატივისცემით შემხვდეს, ჯილდოთ ისიც მეყოფაო...

მზემ ის იყო გორაკებზე გადაამტვერია თავისი სხივები, რომ არიხილოს კალოს მივადექით.

შაჰ-აბაზის შემოსევის დროს, სპარსელებმა აჰყარეს მთელი სოფლის მოსახლეობა და სპარსეთში გადაასახლეს. ძუძუ-მწოვარა და ჩვილი ბავშვები, რომელთაც სიარული არ შეეძლოთ და შაჰისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდენ, კალოზე მოაგროვეს და ცხენებით გალეწეს. ხალხმა დრამის

არიხილოს კომუნა ახალი დაარსებულია. შორეულ მთებიდან და კუთხეებიდან გადმოხვეწილი და ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი გლეხები შეერთებულა; შიგ მოხვედრილა ისეთი პირებიც, რომელნიც თავადიშვილიეთი წამოწოლილან ტახტზე და გახუცხადებიათ:

— მე უფლება მაქვს არ ვიმუშავო! ბევრი ქონება მოვყვე, კომუნაში ჩემი „სუმა" ტრიალობს, მისი პროცენტებიც ეყოფა საცხოვრებლადო.

კომუნაში რამდენიმე დღის წინად შემოსულა ორი-სამი მარტოხელა მოჯამაგირე. კო-





ამხ. მიხა ცხაკაია შირაქში ნავთიან ადგილებს ათვალიერებს.

ადგილს „არ იხილო"-ს კალო შეარქვა, ასე ლაპარაკობს თქმულება.

მრავალი წლის გათავლობაში ამ არე-მარეზე არ დაუყენებია ძაღლს, არ ამოვარდნილა კერიიდან კვამლი: არ იყო სოფელი. მხოლოდ 905-დან დევნით, სილატაკით და უმიწობით აწიოკებულმა მთიელებმა (თუში, მოხევე და სხვა) დაიწყეს დასახლება. ნელ-ნელ გაშენდა პატარა სოფელი.

— კობა მოვიდა.

სთქვა ჭიშკართან მდგომმა ახალგაზრდამ და დინჯათ მოგვესალმა:

დინჯათვე უპასუხა კობამ:

— როგორ ხართ?

ახალგაზრდამ მხრები აიჩეჩა:

— ვართ...

შირაქლები ძალიან ძუნწი ხალხია სიტყვაპასუხზე. კობას რამდენიმე კომუნარი შეეგეხვია ირგვლივ. ემჩნევა: ყველა გახარებულია მისი ნახვით, მაგრამ თავიანთი სიხარულის გამოსახატავად ერთი ზედმეტი სიტყვა და ამოძახილი არ წამოცდებათ. მხოლოდ ერთმა მძიმედ ჩამოსდო ფართე და მძიმე ხელის გული კობას ბეჭზე, შეხედა და უთხრა:

— კობა!

რამდენიმე წამი ჩუმად იყვნენ და უცქეროდნენ ერთმანეთს. ძემდეგ, თითქო ეხლა დაგვინახესო, დაგვაცქერდნენ, ეზოში შეგვიწვიეს და სკამები გამოგვიტანეს. საერთოდ—შირაქში ეჯავრებათ მრავალ სიტყვაობის მოყვარული ხალხი; იმერელის ხსენება ეშმაკურ ღიმილს იწვევს მათ ტუჩებზე. იმერელი—დაუსრულებელი ენა-მახვილობის ობიექტს წარმოადგენს მათთვის. ერთხელ ალიონზე ჩანკაანის ხევში მოგვიხდა გავლა. ჩვენი ყურთა სმენა ტურების სამაგალომა ჰყვილმა და კივილმა წაიღო. შირაქელმა თანამგზავრმა ჩაიცინა და მითხრა:

— იმერლები მღერიანო.

ამის შემდეგ მე ისე ვმალავდი ჩემს იმერლობას, როგორიც ყაჩაღი პასპორტის მქონე თავის ვინაობას.

ძუნამ მათი მოვლა (დარეცხვა, დაკერვა და სხვ.) საერთო წესის მიხედვით, შედარებით თავისუფალ ქალებს მიანდო; ზოგიერთ მათგანს უარი უთქვამს:

— მაგ ცინგლიანის საცვლებს ხელი რომ მოვკიდო, მერე რაღათი ვჭამო პური-თ!

მრავალ მსგავს მოვლენების ნიადაგზე ჩამოვარდნილა დიდი უთანხმოება:

— ეგ ბუნებრივია; ასეთი დავიდარაბის და არევ-დარევის ხანა ჩვენმა კომუნამაც გამოიარა; ეგ იმიტომ ხდება, რომ კომუნაში ჭრელი ხალხიც შემძვრალა; ვინც პროლეტარები არიან, მათ ინტერესებს გაგლეჯისა და გაღლეტის სურვილით შემოპარული პირების ინტერესები ეჭიდება და ებრძვის; ეხლა ხელმძღვანელების მაგარი ხელია საჭირო! აქაურები კი სუსტობენ; დროს კრებაზე მაგრად უნდა შევახურო; ქრისტიანობას თავი დაანებონ და გაიგონ ხელის შემშლელები ვინც არიან და ორგულები.

მითხრა კობამ და კრების საკითხის მოსაგვარებლად წავიდა; ერთი შეხედვით კომუნარები მხარ-ბეჭში მოსული, ახოვანი და მაგრად აგებული გლეხებია, მაგრამ ახლო დაკვირვებით შევამჩნევთ, რომ ბევრ მათგანს ავადმყოფური მოთენთილი მოძრაობა აქვს; სახე შეწუხებული, თვალები ჩავარდნილი, ხმა ძილეული.

თოვლიან და მკაცრ მთებსა და კლდეებს შორის გაზრდილ მთიელების ჯანსაღობაზე განმანადგურებელი გავლენა იქონია უდაბნოსავით გახურებულმა შირაქმა; ცხელა მაია ვერ იტანეს და პიოველმა ზაფხულმა დააუძლურა და ლოგინს წაართვა ამ ჯანიერ, ფეხმარდობაში ჯიხვებთან ჯიბრის გამწევ მთიელებს. ყოველივე სიკვდილის შემთხვევებიც, თემის საექიმო დახმარების პუნქტი დახმარებას უწევს მათ. მაგრამ ძალიან იშვიათად. ერთი ექიმი ვერ წვდება თემის მრავალრიცხოვან მოსახლეობას; ფერშალმა კი ისიც არ იცის, რომ შესაძლებელია ისეთი ავადმყოფის არსებობა, რომელსაც მარტო იოდი ვერ მოარჩენს.

# ანდრე ტარდიე

## შანტაჟისტი-კომბინატორი საფრანგეთის პრემიერი

სამინისტრო ჩეხარდა საფრანგეთში დასრულდა, დროებით მაინც. ბონკური დალადიე კლემანტელი—უძლური გამოდგნენ შეექმნათ ახალი მთავრობა, გადაეჭრათ ის საკითხები, რომლებიც საფრანგეთში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ და საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობის გართულებამ წამოაყენა. პრეზიდენტმა დუმერგმა მთავრობის შედგენა მიანდო ტარდიეს, რომლის კანდიდატურას მთელი მსხვილი კაპიტალისტური პრესა აღფრთოვანებით შეეგება.



ანდრე ტარდიე

„მაგარი ხელის მთავრობა"—აი, როგორ ახასიათებენ ტარდიეს კაბინეტს, სიხარულით დორბლმორეული ფაშისტური გაზეთები. საფრანგეთის მსხვილ ბურჟუაზიას არაფერი არ ესაჭიროება ახლა ისე ძლიერ „როგორც მაგარი ხელის მთავრობა". საგარეო პოლიტიკის დარგში უკანასკნელი მარცხების კომპესაციას ბურჟუაზია ქვეყნის შიგნით აპირობს. მუშათა კლასის მითუოგვნა, კომუნისტების „ალაგმვა", კაპიტალისტური რაციონალიზაციის ჩატარება.—აი საფრანგეთის ბურჟუაზიის სადღეისო საშინაო ამოცანები. მათ გადასაჭრელად, ბურჟუაზიის აზრით, ტარდიეს აქვს ყველა საჭირო თვისებები. ამის თავდებია არა მარტო ის, რომ ტარდიე წარმოადგენდა კლემანსოს მარჯვენა ხელს გერმანიასთან ზავის დადების დროს, არა მარტო ის, რომ იგი არის საფრანგეთის კომპარტიის წინააღმდეგ დაწყებული იერიშების სულის ჩამდგმელი, არამედ მთელი მისი წარსული.

ანდრე ტარდიე წარსულში იყო ჟურნალისტი, ბურჟუაზიული ჟურნალისტი. ამით ყველაფერია ნათქვამი, რადგან თითქმის ყოველი ბურჟუაზიული ჟურნალისტი, განსაკუთრებით საფრანგეთში, მომ. ვალი მინის • რია, ყოველი მინისტრი—წარსულში ჟურნალისტი.

ასეთია ტარდიეც.

როგორც ბურჟუაზიულმა ჟურნალისტმა, მან გაიარა მთელი ის გზა, რომელიც სავალდებულოა თითეული ბურჟუაზიული კალმოსანისთვის—შანტაჟებისა და კომბინაციების გზა. ბურჟუაზიული ჟურნალისტისათვის ჰონორარი, რომელსაც ის რედაქციისაგან იღებს, დამატებითი შემოსავლის წყაროა. შემოსავლის მთავარი წყაროა სხვადასხვა კომბინაციები, შანტაჟი. რამდენადაც მოურიდებელია შემოსავლის წყაროების ძებნაში ბურჟუაზიული ჟურნალისტი, იმდენად დიდია მისი გავლენა. მას არაფრის ეშინია, მისი ყველა მახ ნაციები დაუსჯელი რჩება, რადგან ადმინისტრაცია, თვით მინისტრებიც კი ერიდებიან კონფლიქტს ჟურნალისტთან. უკანასკნელს შეუძლია კარიერის გაფუჭება (რამეს გამოსძებნის—„უცოდველი კი ვინ არის"), ხვალ ეს ჟურნალისტი შეიძლება კოლეგაც გახდეს, მინისტრის პორტფელი ჩაიგდოს ხელში. ამიტომ „ხელი ხელსა ბანს და ორივე პირს", ამ მხრივ საფრანგეთის (და სხვა კაპიტალისტურ სახელმ. იფოებიც) პრესის (ბურჟუაზიულის) სრული „თავისუფლება" არსებობს.

ტარდიემ გაიარა ბურჟუაზიული ჟურნალისტის მთელი გზა—კომბინაციებისა და შანტაჟებიდან სამინისტრო სავარძლამდე.

პირველი აფერა, რომელზედაც ტარდიემ მოითბო ხელი, დაკავშირებულია რალდ. დის რკინისგზის გაყვანასთან, ტარდიე შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა თურქეთის მთავრობაზე ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტთა ჯგუფის სასარგებლოდ. ტარდიე იმედოვნებდა, რომ თავისი კამპანიისთვის მიიღებდა კონცესიის ხელმძღვანელის პოსტს და მილიონ ფრანკს, როგორც „საკომისიო გასამრჯელოს". მაგრამ თურქეთმა უარჰყო ტარდიეს წინადადება. მაშინ ტარდიემ გააფთრებული კამპანია დაიწყო თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ. ამ კამპანიის საპასუხოდ თურქეთის გაზეთებში გამოქვეყნდა ტარდიეს მიწერ-მოწერა ვინმე მარონთან, ბნელ ტიპთან, რომელსაც შემდეგში კატორღა მიუსაჯეს ჯაშუშობისთვის. ეს მარონი ტარდიეს დავალებით საგარეო საქმეთა სამინისტროდან იპარავდა საიდუმლო დოკუმენტებს. მიწერ-მოწერაში, რომელიც თურქეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს, გამოაშკარავებული იყო ტარდიეს ბნელი მახინაციები.

მაგრამ ტარდიე მშრალად გამოძვრა ამ საქმიდან, თუმცა უდავოდ დამტკიცდა, რომ თავის წერილებისთვის, რომელიც მიმართული იყო ახალგაზრდა თურქების პარტიის წინააღმდეგ, ტარდიემ მოახერხა 30,000 ფრანკის მიღება ჯიამელფაშას მთავრობისგან. ამრიგად ტარდიემ „ბულიც მოიფხანა" კონცესიის დაკარგვისათვის და კაპიტალიც შეიძინა.

მეორე დიდი კომბინაცია, რომელიც ტარდიემ მოაწყო შეეხება კონცესიას ნ' გოკო-სანგა. ეს არის უდაბნო დასავლეთ აფრიკაში, სადაც ტარდიემ განიზრახა კაუჩუკის პლანტაციების მოწყობა და შემდეგ რამდენიმე მილიონი ფრანკი ასწაპნა მთავრობას „სამხედრო ზარალის" ასანაზღაურებლად. ამ ისტორიის გამოაშკარავების დრო ისეთი სკანდალური ცნობები გამოირკვა, რომ ბურჟუაზიულ ჭაობშიც კი აღშფოთება გამოიწვია. აღმოჩნდა, რომ „პატრიოტი" ტარდიე თავის სალაროში ოქროს ფრანკების გასამრავლებლად არ ერიდებოდა „წყეული ბოშების" (გერმანელების) მხარის დაჭერასაც. მაგრამ ტარდიემ აქაც დააღწია თავი.

1917 წელს ტარდიეს უკვე ვხედავთ მინისტრის სავარძელში. საფრანგეთის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა, რომ ტარდიემ ბრწყინვალედ დაიჭირა გამოცდა ადამიანის, რომელსაც შეუძლია „მიაღწიოს ყველაფერს" და ერთგულად ემსახუროს მის ინტერესებს.

ტარდიემ შესანიშნავად გაამართლა ეს იმედები. მას ასახელებენ ვერსალის ხელშეკრულების ნამდვილ ავტორად. ის იყო კლემანსოს მარჯვენა ხელი ხელშეკრულების დადების დროს.

საფრანგეთის ბურჟუაზია კვლავ მოუწოდებს მას საპასუხისმგებლო პოსტზე თავისთვის მძიმე მომენტში, როცა კლასობრივი ბრძოლის ტალ-

### „მაგარი მუშტის მთავრობა" საფრანგეთში



ტარდიეს სამინისტროს ნამდვილი სახე

ღები წალეკავს უქადიან მას. რადიკალებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ტარდიეს მთავრობა განახორციელებს ისეთ პოლიტიკას რომელიც თავისი რეაქციონური ხასიათით დაჩრდილავს პუანკარე-ომის პრემიერობის (ნაციონალური ბლოკი—1922—24 წლები) პერიოდს.

ასეთია კაცი, რომელიც დაინიშნა საფრანგეთის პრემიერად.

ფრანგ-სოციალ შემთანხმებლების ბელადმა ლეონ ბლიუმმა ოდესღაც ტარდიეს უწოდა „ემარცხენე".

ბლიუმისა და მისი ამხანაგებისათვის ტარდიე „მემარცხენეა". ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ეს უკაცრავათ სიტყვაა „სოციალისტები" უკვე გადაბარგდნენ ფაშიზმის ბანაკში და ამიტომ მზად არიან მიესალმონ ყველას, ვინც „თავისუფლებისა და წესიერების" დაცვის ლოზუნგით ატარებს მსხვილი კაპიტალის ინტერესების შესაფერ პოლიტიკას, თუგინდ ისინი წარსულში და აწმყოში იყვნენ შანტაჟისტები, კომბინატორები და ჯაშუშების ხელის შემწყობნი.

ნ. რ—ძე

# ფოლადის რაშებით კახეთისაკენ
## (აგიტ-მოტო-გადარბენა)

დაღამდა, უკან მივატოვეთ ათეული კილომეტრი საძაგელი გზა—წინ კიდევ სამი დღის სავალი გზა გვაქვს. გამოჩნდა სიღნაღი. მძინარე ქალაქში რახრახით შეიჭრა კოლონის ბოლოში მიმავალი საბარგო ავტომობილი. მიტინგებმა სოფლებში საგრძნობლად შეამცირეს მისი ბარგი. ყოველ სოფელში ავტომობილს გარს ეხვეოდა აუარებელი გლეხობა, რომლებსაც ურიგებდნენ ლიტერატურას. „თამბაქოს მოსაწევათ მიაქვთ წიგნები"— ამბობს ზოგი. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა გვარჩევნა. როდესაც მეორე დღეს ჩვენ გავიარეთ ქვემო-მაჩხაანი, გლეხები შეჯგუფებულიყვნენ და გულმოდგინეთ ყურს უგდებდნენ ხმა მაღლა კითხვას. კითხულობდნენ ბროშურას „როგორ უნდა მოეწყოს კოლმეურნეობა".



იორზე გადასვლა.

ერთი გლეხი შეგვეკითხა—„ამხანაგო, რას ნიშნავს ინდუსტრიალიზაცია, თესლბრუნვა, ვერ გამიგია"?

სიღნაღში ღამის გასათევი ბინა ვერ ვიშოვეთ. ერთად ერთი სასტუმრო სამი ოთახით დაკავებული იყო. მოვეწყვეთ დუქანში. დილის 7 საათზე ქალაქს ისევ ეძინა, არ ეძინა მხოლოდ ყურძნის გამყიდველ დედაბერს, რომელიც გვთავაზობდა თავის საქონელს. ქალაქის მყუდროება ვერც მოტოციკლეტების ზუზუნმა დაარღვია, რომლებმაც დასტოვეს სიღნაღი.

გაუდექით გზას. მინდვრები, მინდვრები და მინდვრები. გზის ორივე მხარეზე გლეხები უკვე შესდგომიან მიწის ხვნას. შემოდგომის თესვა გაჩაღებულია. აი აქ არის საჭირო გაერთიანება კოლექტივში. რამდენი შრომა დაიზოგებოდა, რომელიც ეხლა ასე უთავბოლოდ იხარჯება.

მივედით ჯუგაანში. ქოხ-სამკითხველოსთან რახრახებს ტრიერი, რომელიც არჩევს საუკეთესო სათესლე ხორბალს. მთელი სოფელი ელექტროფიკაციაქმნილია, რაც კულტურის ნიშანია. სოფლის დედაკაცებს, ჩვენ პატივსაცემად მოუწყვიათ შაბათობა, გაუსუფთავებიათ გზა ქვებისაგან.

თანდათან სხვა სოფლებში გადავდიოდ თ. მიტინგი მიტინგს მოსდევს. ჩვენი აგიტატორები დახრინწიანდენ. ნაწილობრივ ლაპარაკისაგან, ნაწილობრივ წყალში სიარულისაგან—იორზე, მუხლამდე წყალში გადავათრიეთ მანქანები მეორე ნაპირზე.

ჩვენ აგიტატორებს შველიან ზოგიერთი შეგნებული გლეხები, რომლებიც ლაპარაკობენ ახალ ცხოვრებაზე. თელავში, კლუბის აივნიდან, ჩვენ მოვისმინეთ გლეხებისაგან ისეთი სიტყვები, რომლებსაც ვერც ერთი საუკეთესო აგიტატორი ვერ იტყოდა. ის ამტკიცებდა კოლმეურნეობათა მოწყობის აუცილებლობას, მუშებისა და გლეხების მტკიცე კავშირის აუცილებლობას და ისეთი დამაჯერებელი ხმით ლაპარაკობდა, რომ ძალა უნებურად გჯეროდა მისი.

ისევ გზა. იცვლებიან ადგილები—იცვლება ხალხი. მივედით კახეთის თამბაქოს ცენტრში—ლაგოდეხში. ჰაერში ტრიალებს თამბაქოს სუნი. საწყობებში, აივნებზე, ფარდულებს ქვეშ, ხმება თამბაქოს ყვითელი ფურცლები. ჩარჩოებზე ჩამოკიდებული შორიდან სკიდან ამოღებულ თაფლიან ფიჭს მოგაგონებს. აქვეა უდიდესი თუთის პლანტაცია. „საქართველოს აბრეშუმი" სრულიად უსასყიდლოდ ურიგებს თუთის ნერგებს და



აგიტ-კოლონა კახეთისკენ.

ამით ანვითარებს მეაბრეშუმეობას. შედეგები უკვე თვალსაჩინოა. წელს აქ შეაგროვეს 1300 ფუთამდე საუკეთესო ხარისხის პარკი.

გადავლახეთ გომბორის ქედი. გზის ორივე მხარეზე, ჰორიზონტამდე, მოსჩანს ტყე. საუცხოო სანახაობაა. სოფ. გომბორთან ახლოს მოსჩანან ხევსურთა ქოხები. ქუჩები, შენობები, თითქოს ჩაფლულან მიწაში, შიგ მოწყობილობა უძველესია, არხაული.

იწყება თავდაღმართი. უახლოვდებით თბილისს. მოვქრივართ 90 კილომეტრის სისწრაფით. შორს გამოჩნდა ფუნიკულიორის წვერი.. სასაკლაო... ნავთლუღი. .

გადარბენა დასრულდა.



აგიტ-კოლონის მეთაურები.



ლაგოდეხის ხევი.

# მუშები სოფლად

დღეს ჩვენს წინაშე დასმულია უდიდესი ლოზუნგი „კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის". ქალაქის მუშებმა საუკეთესოდ შეიგნეს ეს და ანხორციელებენ კიდევაც მას. უკანასკნელ ხანებში გახშირდა მუშათა ბრიგადების გამგზავრება სოფლად, განსაკუთრებით პურის დამზადების პერიოდში.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვეძებდით სხვადასხვა გზებს კავშირის განსამტკიცებლად მუშებსა და გლეხებს შორის. ახალმა ფორმებმა გვიჩვენა, რომ ეს კავშირი უფრო მტკიცდება. ეხლა თითქმის ყოველთვის შეხვდებით სოფლად მუშას, რომელიც თავისი შრომით ეხმარება გლეხს მისი მეურნეობის აღორძინებაში.

წროვეანდელი წელიწადი ხომ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ. მუშათა ბრიგადები მასიურად გაემგზავრნენ სოფლად. ასე მაგალითად: ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მუშები გაემგზავრნენ ხაშურის რაიონში მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩასატარებლად. თვით ხაშურის მუშებმა გამოჰყვეს რამდენიმე ათეული კაცი ამ დღის ჩასატარებლათ, რომლებიც ხუთი დღის განმავლობაში აწარმოებდნენ გამოკვლევითი და განმარტებითი მუშაობას. ამ მუშაობამ თვალსაჩინო შედეგები გამოიღო. მოიხნა კოლექტივიზაციის ჰექტარი. ზოგიერთ სოფლებში კი მოიხნა ხუთი-ექვსი ჰექტარი. მუშების აგიტაციამ თვალსაჩინო გახადა, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოლექტივიზაციას, რომ ასეთ პირობებში მუშაობა უფრო ნაყოფიერია. მარტო ხაშურის რაიონში ამ დღისათვის დაარსდა ექვსი კოლმეურნეობა, რითაც საძირკველი ჩაეყარა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას. ამ დღისათვის თბილისის კვანძის მესამე უბნის მუშებმა გაიყვანეს ტელეფონის ხაზი გომიდან წრომამდე. ათეული მანქანები შეკეთდა სრულიად უსასყიდლოთ.

კოლმეურნეობათა დაარსების დროს მუშებმა წააწყდნენ ზოგიერთი დაწესებულების ბიუროკრატიზმის კედელს, რომლის მზგავსი ძნელად



უშვებენ კოლონის კედლის გაზეთს.

მოიძებნება. ასე მაგ. სოფ. საციხურის გლეხებს განზრახვა ქონდათ დაეარსებინათ კოლმეურნეობა. მათ განიზრახეს ტრაქტორის შეძენა, რისთვისაც შეაგროვეს 800 ფუთი ხორბალი 6.000 მანეთად ღირებული. ხოლო როდესაც გაგზავნეს ტრაქტორისათვის ცივი უარი მიიღეს. „ჯერ დაარსეთ კოლმეურნეობა და შემდეგ ტრაქტორს მოგცემთო“.

ჩამოსული მუშები აწარმოებდნენ გამოკვლევა და ბევრი დამახინჯებანიც აღმოაჩინეს. ასე მაგ. ალისა და აველევის თემში არ სწარმოებდა მუშაობა კულაკის გამოსაშკარავებლად და მისი მავნებლობის განსამარტავად. იყო შემთხვევები, რომ მუშებმა ვერ გამოარკვიეს რამდენი კულაკია თემში, რადგან ადგილობრივი მუშაკები შეძლებულების მხარეს იჭერდნენ.

მუშებისა და გლეხების შეხვედრა იყო მეტად გულთბილი. გლეხები უ ზიარებდნენ მუშებს თავიანთ ჭირ-ვარამს და მუშებიც ცდილობდნენ შეძლების დაგვარად დახმარებოდნენ მათ. მუშებს თან მიჰყავდათ ორკესტრები, დრამწრეები და მართავდნენ გლეხებისათვის წარმოდგენა-კონცერტებს. 14 ოქტომბერს გომში, სადაც შეიკრიბა აუარებელი გლეხობა, ჩამოვიდა მბეჭდავთა კავშირის სიმებიანი ორკესტრი, რამაც გლეხებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

მაგრამ ყველაფერი ეს არ კმარა. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს წვრილ-ოთხების ულოდინარობის ლიკვიდაციას. ბევრ სოფელში არის სკოლის შენობა, პარტები, მაგრამ მასწავლებლები არა ჰყავთ.

სოფლის კულტურულად აღორძინება—აი რა უნდა დავისახოთ მთავარ ამოცანად. და როდესაც დავიპყრობთ ამ ფრონტსაც, მაშინ უფრო თავისუფლად შევუდგებით გზას სოციალიზმისაკენ.



კამეჩი, რომელმაც პრემია მიიღო მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს ხაშურის რაიონში



იარაღ-მანქანების შეკეთება.



# ჭიათურის თეატრი

9 ნოემბერს გაიხსნა ჭიათურის ქართული დრამის სეზონი ს. შანშიაშვილის პიესა „ბრაზით“.

წრეულს ჭიათურის თეატრს უხდება მუშაობა ფრიად ხელსაყრელ პირობებში. ადგილობრივი ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს დრამას და დასის შესანახათ და თეატრის გასაუმჯობესებლად გადადებულია საკმაო თანხა.

ყურადღება მიექცევა მუშების ფართედ მიზიდვას თეატრში. ამ მიზნით შემოღებულია საბონემენტო სისტემა. დასი აგრეთვე გამართავს წარმოდგენებს ჭარხანა მაღაროების კლუბებში; პერევისაში, მღვიმევში, რგანში და სხვაგან. თეატრის დასაახლოებლად მუშა-მაყურებელთან მოეწყობა საუბრები მუშებთან ხელოვნების შესახებ.

ჭიათურის თეატრი შეკეთებულია საფუძვლიანად, მოეწყო ლენინის კუთხე, მსახიობთა დასას ენებელი ოთახი, დაიგო ახალი იატაკი, გაფართოებულია საპირფარეშოები, შენდება სახელოსნო დეკორაციების დასამზადებლად.

სურათზე: დასის შემადგენლობა, თეატრის დირექტორი ამხ. ბ. ლეჟავა (მარცხნივ), მთავარი რეჟისორი ამხ. პ. ფრანგიშვილი (მარჯვნივ), შესავალი თეატრში, პიესა „ბრაზი“-ს პირველი მოქმედების მაკეტი.

# ახალი ძალები წითელ არმიას

1907 წელში დაბადებულ მოქალაქეთა გაწვევა წითელი ჯარის რიგებში წარმატებით ჩატარდა მთელ საქართველოში. ჯარში გაწვევას წრეულ მიეცა ფართე პოლიტიკური კამპანიის ხასიათი, მასში ჩაბმულნი იყვნენ მრავალი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თვით ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები. სამხედრო გაწვევისათვის დაიწყო დროულად, იგი მიმდინარეობდა გეგმიანად და ყველ. ამ ღონისძიებების საშუალებით, შესაძლებელი შეიქნა წითელი ჯარისათვის ისეთი ახალგაზრდობის მიცემა, რომელიც წარმატებით შეასრულებს თავის მოვალეობას.

ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო ქართული წითელი ჯარის ნაწილების შევსება ახალწვეული წითელარმიელებით. საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ ახალი მებრძოლები, რომ ყაზარმაში შეისწავლონ იარაღის ხმარება და შეიძინონ ისეთი ცოდნა, რომელიც საჭიროა საბჭოთა მოქალაქისათვის. აქ, წითელ ყაზარმაში, თავი მოუყრიათ: ქართლელებს, კახელებს, გურულებს, იმერლებს, მეგრელებს. აქვე არიან ოსები, აფხაზები, თათრები ბორჩალოდან სომხები, წალკელი ბერძნები, გერმანელები. ყველანი მხიარულად გამოიყურებიან, ბაასობენ



ახალწვეული წითელ-არმიელები ყაზარმაში თავისუფალ დროს.



სოფლიდან ჩამოსული წითელარმიელები სუფთავდებიან!

ტკბილად, მეგობრულად, ლაპარაკობენ მომავალ სწავლებაზე. ყველას აქვს სურვილი მალე შეუდგეს იარაღის ხმარებას, საუკეთესოდ შეისწავლოს თოფის მარჯვეთ მოხმარება, რომ საჭირო დროს შესძლოს სათანადოთ გაუმასპინძლდეს მათ, ვინც მოისურვებს წითელი საზღვრების გადმოლახვას.

წრეულ ყაზარმაში თავი მოიყარა მხოლოდ მშრომელმა ახალგაზრდობამ, ახალ წვეულთა შორის ვერ შეხვდებით კულაკურ და არა მშრომელ ელემენტებს. ეს ასედაც უნდა იყვეს, ვინაიდან წითელი არმია მშრომელთა არმიაა, იარაღის ტარების უფლება და საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვა მხოლოდ მშრომელთა საპატიო უფლებაა.

***

ახალწვეულები ყაზარმაში მოსვლისთანავე ღებულობენ მაუდის ტანსაცმელს. საბჭოთა კავშირი საკმაოდ მომაგრებულია ეკონომიურად და წრეულ მთელი წითელი არმია გამოეწყობა საუკეთესო მაუდის ტანსაცმელში. აბანოს შემდეგ ახალ წვეულები თავსდებიან კარანტინში.

წითელი ყაზარმა სავსებით მომზადებული ხვდება ახალ წვეულებს. კარანტინები, სადაც ახალწვეულებმა უნდა დაჰყონ ორ კვირამდე საუკეთესოდ არის მოწყობილი: კედლები დაფარულია პლაკატებით, ლოზუნგებით, ჩვენი ბელადების სურათებით. მოწყობილია ლენინის კუთხე, სადაც მრავლად არის დაგროვილი მასალა, აქვეა გამართული სამკითხველო.



წითელარმიელებს ტანთსაცმელი დაურიგდათ!

კარანტინში სწარმოებს საუბრები ახალწვეულებთან. მეთაურები და პოლიტხელმძღვანელები საუბრების საშუალებით აცნობენ ახალწვეულებს დისციპლინის მნიშვნელობას, მათ მომავალ ცხოვრებას, იმ საგნებს, რომლების გავლაც მოუხდებათ ახალწვეულებს.

კარანტინშივე სწარმოებს ახალწვეულების შესწავლა, რასაც აქვს უდიდესი მნიშვნელობა სწავლების დროს. მეთაურები აწარმოებენ დაკვირვებას, რომ შეისწავლონ ყოველი ახალწვეულის ხასიათი, მისი უნარიანობა. ამ დაკვირვების მასალებს მეთაურები გამოიყენებენ შემდეგში, რომ უფრო მიზანშეწონილად აწარმოონ მეცადინეობა მებრძოლებთან.

კარანტინში სწარმოებს წერა-კითხვის მცოდნეთა და უცოდინართა აღრიცხვა, უნდა ითქვას, რომ უცოდინარნი ძალიან ცოტანი არიან 1907 წელში დაბადებულთ შორის, სჭარბობენ მცოდნენი და მცირე-მცოდნენი. ასე რომ წრეულ წითელი ყაზარმა ძალიან მცირე ენერგიას დახარჯავს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე არმიელთა შორის.

***

რას ამბობენ ახალწვეულნი თავის მომავალ მუშაობასა და სწავლებაზე?

ყოველი ახალწვეული სიხარულით მიეშურება წითელი ყაზარმისაკენ. ჯერ-ჯერობით არ ყოფილა დეზერტირობის და გამოუცხადებლობის არც ერთი შემთხვევა.

ახალწვეულები აცხადებენ, რომ ისინი მოხარულნი არიან იმსახურონ წითელ ჯარში.



ახალწვეული წითელარმიელები გაზეთს კითხულობენ

„ჩვენ აქ სამხედრო საქმესთან ერთად შევიძენთ ისეთ ცოდნასაც, რომელიც საჭიროა სოფლისათვის და სახლში დაბრუნების ამ ცოდნას მთლიანად მოვახმართ სოფლის კეთილდღეობას“—ასე ამბობენ ახალწვეულნი.

1907 წელში დაბადებული ახალგაზრდები იქნებიან საუკეთესო მებრძოლნი, მტკიცედ დაიცავენ წითელი ყაზარმის სახელოვან ტრადიციებს და, თუ საჭირო იქნება, სალი კლდესავით აღსდგებიან მშრომელთა სახელმწიფოს დასაცავად შინაურ და გარეშე მტრებისაგან. ამისი საუკეთესო თავდებია ის საუკეთესო განწყობილება, რომლითაც ახალწვეულნი მიეშურებიან წითელ ყაზარმისაკენ.

ე. ხუციშვილი.

# საბავშვო ბაგები



**ბავშების ბაგაში მუშა-მოსამსახურე დედებს მიჰყავთ თავიანთი ბავშები როდესაც ისინი სამუშაოდ მიდიან. იქ უვლიან სპეციალურად მომზადებული აღმზრდელები. მუშაობის გათავების შემდეგ მშობლებს უკანვე მიჰყავთ ბავშები თავიანთ სახლში.**

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს შეუმსუბუქოს მდგომარეობა მშრომელ ქალებს და იმავე დროს შესაფერი აღზრდის პირობები შეუქმნან მათ ბავშვებს.

ამ მიზნით, სხვა ღონისძიებებს გარდა, საბჭოთა ხელისუფლებამ წარმოებებთან მოაწყო საბავშო ბაგები, სადაც სამუშაო დროის განმავლობაში მოთავსებულნი არიან წარმოებებში ჩაბმულ ქალთა ძუძუმწოვარა ბავშები.

ამით დედებს საშუალება ეძლევათ აზლოს იყოლიონ ბავშები და თავთავის დროზე მოაწოვონ ძუძუ.

ბავშებს მიჩენილი ყავთ გამოცდილი მომვლელები, რომლებიც დედის მაგიერობას უწევენ მათ. ყველგან ბაგები მოწყობილია სუფთა და ნათელ ოთახებში.

მაგრამ დღემდე გახსნილ ბაგათა რიცხვი მეტად მცირედ უნდა ჩაითვალოს, რის გამო მშრომელ ქალების საგრძნობი ნაწილი მოკლებულია საშუალებას შესაფერისად მოუარონ ბავშებს. ეს კი ერთი მხრივ საფრთხეში აგდებს ბავშთა ჯანმრთელობას, მეორე მხრივ მოქმედობს თვით ქალთა შრომის ინტენსიურობაზე.

ამიტომ გაითვალისწინა რა ეს გარემოება დედათა და ბავშთა დაცვის ორგანიზაციამ, გადასწყვიტა გააფართოოს საბავშო ბაგათა ქსელი.

ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 18 ბაგა, აქედან თბილისში—9) (9 მუდმივი და 4 სეზონური), გორში—1, ყარაიაში—1, ჩაქვში—1, სოფ. ზემო-ქედის კოლექტივთან—1, ლამის-ყანის კოლექტივთან 1 და სხვა.

ახლო ხანში საბავშო ბაგები გაიხსნება—სამტრედიაში, ოზურგეთში, ხონში და ქუთაისში.

გეგმის მიხედვით, ამას გარდა, წელს რესპუბლიკაში გაიხსნება კიდევ 30 ბაგა, სახელდობრ—სენაკში, ჭიათურაში, შორაპანში, ზესტაფონში, ოზურგეთში, ფოთში, 2 თბილისში, დუშეთში, ბათომში 1— და სხ.

ამ რიგად სათანადო ღონისძიებებია მიღებული იმისათვის, რომ მშრომელ ქალთა ბავშები უზრუნველყოფილნი იქნენ საჭირო მოვლა-პატრონობით.

---

გ. ქუჩიშვილი.

## შრომის ჰანგები

### მე სხვა მწადიან

არ მინდა, არა, ასვლა პარნასზე,
არც ხმა-ნარნარი დავითის ქნარი,
არც თუ ოცნება შორეულ მარსზე,
მე სხვა მწადიან, სულ სხვაა ჩემი
ოცნებაც და საქვეყნო ვალი:
აღვძრა მსოფლიოს მუშათა კლასი,
რომ ძირს დაამხოს ყველა მტარვალი.
უნდა დავჭქროლო აღმოსავლეთსაც,
აჰბობებათა დავანთო ალი,
რომ დამონებულ დაჩაგრულ ხალხთაც
განიფრთხონ ძილი, იშიშვლონ ხმალი!
და როცა ქვეყნად აღარ იქნება,
ძარცვა, მონობა, მტრობა და შური,
როცა სამყაროს დაეუფლება
თანასწორობა, ცხოვრება ძმური,—
მაშინ მეც ნახეთ, მეც მომისმინეთ
ჰანგთა რხევა და ჰიმნი ზეცური!

### სადურგლოში

დასრიალებს შალაშინი,
ხან შრიალა, ხან კი ჩუმი;
ბურბუშელის დგება ზვინი,
ვით ყვითელი აბრეშუმი.
ვმუშაობთ და თავისთავად
ვავარჯიშებთ აზრს და სხეულს;
ოფლით ქვეყნის მოსართავად
ვქმნით ყოველგვარ ავეჯეულს.
შარიშურობს შალაშინი,
გულიც მღერის რანდის ხმაზე;
შრომაშია ჩვენი ლხინი,
მუსიკა და სილამაზე!

### სამჭედლოში

ცეცხლმა ქურა გაახურა,
ამიშინებს ცეცხლის რკინებს;
ყველამ ქურას მიაშურა,
ყველა ძმურად დაჰლილინებს.
ქშინავს, გმინავს საბერველი,
მხიარულად გრგვინავს ჭერი
და ოსტატიც მკლავ-ძლიერი
დაჰყიჟინებს: დაჰკათ კვერი!
რეკავს კვერი, ცეკვავს ჰანგი!
ბაგი ბუგი გააქვს უროს;
გადამიტყდეს ხელში ჩაგი,
თუ მეც მათ არ ვეძახური!

### მ ლ ე ხ ა ვ ი

რა უყოთ რომ ალექსი
არც თუ ისე დიდია,
რომ სალესი მანქანა
მხარზე გადუკიდია.
მამის ანდერძს ასრულებს,
შრომა არ ეზარება;
რასაც იღებს შინ მიაქვს,
ქვრივ დედას ეხმარება.
აი, ეხლაც ქუჩებში
გამოსულა ალექსი
და გაიძახის: ვისა გაქვთ
დანები გასალესი!
ჰა, წლუნგი მაკრატელით
გაჩნდა გოგო ცქრიალა,
ალექსიმაც მანქანა
დადგა, დაატრიალა.
პირი მაკრატელისა
ჩარხმა ისე ალესა,
რომ კმაყოფილი დარჩა
მუშტარიც და ალექსაც.
ეზოებში, ქუჩებში
მიდის, მოდის ალექსი
და გაიძახის: ვისა გაქვთ
დანები გასალესი!?

# ავტომობილების საამწყობო ქარხანა მოსკოვში

ნიჟნი-ნოვგოროდში იგება ავტო-გიგანტი 120.000 ავტომობილის წლიური პროდუქციით.

ქარხანა აიგება 31—32 წლებში. იგი მზა სამგზავრო ავტომობილების გარდა გამოუშვებს ცალკე ნაწილებსაც. ამ ნაწილებიდან



ქარხნის ალმშენებელ მუშების საცხოვრებელ შენობის აგება.



წყალსადენის გაყვანა ქარხნის ტერიტორიაზე.

ავტომობილების ასაწყობად საბჭოთა კავშირში აიგება 2—3 ამწყობი ქარხანა. პირველი ასეთი ქარხანა აიგება მოსკოვში, სიმონოვის სლაბოდაში.

მოსკოვის საამწყობო ქარხანა ყოველწლიურად 24.000 მანქანას გამოუშვებს. ქარხნის ამუშავება განზრახულია 1930 წლის ივნისში. მთელი სამუშაოების ღირებულება, დაახლოვებით გაინსაზღვრება 1.200.000 მან.

ავტო-გიგანტის დამთავრებამდე, მოსკოვის საამწყობო ქარხანა მანქანებს დაამზადებს „ფორდი"-ს მზა ნაწილებიდან, რომელსაც მივიღებთ ამერიკიდან მომავალი წლის გაზაფხულიდან.

ამგვარად, 30 წლის ზაფხულში, ჩვენ გვექნება საკუთარი აწყობილი „ფორდი"-ს ავტომობილები, რაც პირველი ნაბიჯია საბჭოთა კავშირის ავტომობილიზაციისაკენ.

# ელვიან ღამით

## ა. ჩაჩიბაია.

### თავი პირველი

შენობა ნაცრისფერ ქვიანი-თვალმზიდი.

შესავალთან ქვისთვალებიანი ვეფხვები წვანან და გადაკეცილ ფაფარში შრიალებს მთებიდან მონაბერი ქარი. მთები ძევს უკან ფერდობებით მოშავო ჰავხევებით, სიჩუმით და ხეების წაქცეული ჩრდილებით,

სასტუმრო ქალაქის მთავარ ქუჩაზეა. ქვედა სართული ბრინჯაოს ფერადაა შეღებილი და ალაგ-ალაგ კირ გამოყრილი. მინები ჩალეწილი და ქუსტაფარებული. ერთი შეხედვით გაპარტახებულის შთაბეჭდილებას უფრო სტოვებდა..

ქალაქში სიჩუმეა.

აქა იქ შეხვდებით ჯარისკაცების გროვას, რომელნიც მახორკას ეწევიან და გულისმოსაფხანად იგინებიან. მერე კიდევ სადღაც მიჰყიჰინებს გარმონი და უწესრიგო ტაშს აჰყვება ფეხების ხმა.

ფილაქანზე დგას გუშაგი ხელ ფეხ გათოშილი და თვალები ჭრელი (როგორც მაისის ვარსკვლავებიანი ცა) შესჩერებოდა ღრუბელჩამოწოლილ მთებს.

აფუძული, ნაცრისფერი ღრუბელი ნისლივით აწვებოდა მთებს და მთებში ნიავი ფსტვენდა.

ციოდა'

ამიტომ გუშაგი, რაც შეეძლო მაგრად არტყამდა ფილაქანს ჩექმების ლურსმნიან ქუსლებს და დარტყმა ყრუდ იფანტებოდა ირგვლივ...

მთებში, ხევებში, ველ-მინდორში, მდინარის ქანისლო ნაპირებზე ბინდივით მოწვებოდა დეკემბრის ღამე და ჩუმ ყვითლად აციმციმებულ ვარსკვლავების ქვეშ, სილუეტებივით იდგნენ პატრულები და ყოველ გახმაურებაზე მზად იყვნენ სროლისთვის.

***

გვიანაა.

სასტუმროს ფანჯრები ჩაბნელებულია. იქ ჯარისკაცებია დაბანაკებული. ვინ გინდოდათ უწინ აქ არ გენახათ; სპარსელი, სომეხი, რუსი ქართველი, ვაჭარი, ინტელიგენტი, კონტრაბანდისტი. სხვა და სხვა ჯურის და სხვადასხვა პროფესიის აზიელი თუ ევროპიელი, მაგრამ ეხლა ისინ არ არიან.

ზემო სართულში ისევ სამხედრო პირნი სცხოვრობენ. აქვეა თავადი მანჩა ხოლდაია და გოლია. ვეღარ მოასწრეს ქალაქიდან დროზე გასვლა. ჩარჩნენ. ქალაქი თეთრებს უკავიათ. ოთახში ოდნავ ბჟუტავს ლამფა და ფერმიხდილ სინათლეზე მოსჩანს თავად მანჩას სუსტი, ჩამომხმარი სალოდავი სახე. ის ამ ბინაზე ნაცნობ პოლკოვნიკ სიმონ ნიკოლოზის-ძე გუშკოვმა მოაწყო.

ოთახი პატარაა. კუთხეში მიყრილია ჩაიდნები და სპარსული ნოხები. იატაკი მტვრიანია და პაპიროსის ნამწვით სავსე. ფანჯრებზე ეკიდა ჭუჭყიანი, ჩამოხეული, შებოლილი ყვითელი ფარდები და არავინ ფიქრობდა მის გამოცვლაზე. ან ვინ იფიქრებდა, როცა სასტუმროს პატრონი სადღაც იმალებოდა და ორ მოსამსახურეს წინაალმდეგობის გაწევისთვის თავი გაუჩეხეს. გასტეხეს სარდაფები, გაილეშენ ღვინით და დუქნოროფლი არ ზოგავდნენ არავის. იყო შემთხვევა, როცა თეთრგვარდიელმა ახალგაზრდას კონდახით სცემა, ბოლოს ტიტველ მუცელზე მიადო ხანჯლის წვერი, ჰკრა მუშტი და ამოხეთქილ სისხლში ჩაიკეცა იგი.

და კიდევ ღვინით გალეშილი, ფარაჯიანი ხალხი დაძრწოდა სახლებში და სახლებიდან მოისმოდა მათ მკლავებზე გადაწოლილი ქალის წივილი. ხშირად კივილი მიწყნარდებოდა და უფრო ხშირად სროლით თავდებოდა.

თავადი მანჩა, შიშით აცახცახებული, ოთახიდან არ გამოდიოდა, არავის არ ენახვებოდა გარდა პოლკოვნიკ სიმონ ნიკოლოზის ძე გუშკოვისა, რომელსაც ეხვეწებოდა კავკასიისკენ წასვლას, გზის გაწმენდას, რომ შეეძლოს ადვილად საქართველოში ჩასვლა. მაგრამ, რატომღაც პოლკოვნიკი სდუმდა. მანჩა არ ისვენებდა.

— გავიპაროთ!—ეუბნეოდა გოლიას.

— არ გირჩევ! ეხლა ყოველი ბილიკი საშიშია! გზა არ იცით! —პასუხობდა გოლია და ნახევრად მიხურულ ფანჯრებიდან გაჰყურებდა სივრცეს. სივრცე იყო ბნელი, უმოძრაოდ დაყუდებული. უზარმაზარი მთებიდან მოსჩანდენ მილეულ სითეთრით მიძინებული ღრუბლები...

და გუშაგი იდგა ისევ საგუშაგოზე და მისი ნაბიჯი ყრუდ იფანტებოდა ჩაჩუმებულ სივრცეში..,

ის იცავს სარდაფს პოლკოვნიკის ბრძანებით, თუმცა პოლკოვნიკს ყოველთვის ამოაქვს კვარტები და თავად მანჩასთან ერთად მწუხრიდან გათენებამდე ატარებს დროს.

არავითარი ხმაური არ ისმის.

ხშირია ასეთი ღამით თავდასხმა, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები მტრულად არიან განწყობილი და ამიტომ გუშაგი თითქმ მომარჯვებული, სმენად ქცეული შეჰყურებს ბნელაში შერხეულ ყოველ ლანდს.

შეგვიანებით მოვიდა სიმონ ნიკოლოზის ძე.

— ჩემთან არავინ არ შემოუშვა გარდა ბარდან ხოფესი!—ბრძანა მან.

— მესმის!— ხრინწიანი ხმით უპასუხა გუშაგმა.

(ბარდან ხოფე იყო ახალგაზრდა, რომელიც ეხლახან მოეწყო მათთან სამსახურში, მაგრამ ის დროს ეძებდა რათა სრულიად გაენადგურებია მთავარი ძალები. ამასთანვე მან შვიდი რჩეული ბიჭებიც შეიმატა და ჯეროვნობით მათზე იჭვიც არ არის მიტანილი).

— იცოდე ფრთხილად! დაიმახსოვრე: გულგრილობაზე, ღალატისათვის, დაგხვრეტ!

— მესმის!

სიმონ ნიკოლოზის ძემ სიბრაზით ჩამოყარა წარბები და წავიდა. გულმაგმა შურით ავსებული თვალები გააყოლა პოლკოვნიკის იმავალ ზურგს.

***

ყაეის ფერ პატარა ოთახში, დანებით ამოჭრილ, გაპარტახებულ მაგიდაზე ლურჯ აბაჟურიანი ლამფა იდო და ფერმკრთალად ანათებდა.

კედლებზე მილეულ ი, ფერ გადაკრულ ჩარჩოებში მიხატული იყო ფრთამოტეხილ ანგელოსები, ტბა, გედები, და აფრიანი ნავი ზღვ ს ნისლში გახვეული.

მაგიდაზე იდო ნაგან ი და სიმონ ნიკოლოზის ძე რატომღაც მალი მალ სინჯავდა... მას სახეზე არაჩვეულებრივი აღშფოთება, სულიერი წვალებარება ემჩნეოდა. ხშირად იკვნეტდა ტუჩებს, თავზე ისვამდა მარჯვენა ხელს და კედელს ეყრდნობოდა...

გოლიამ შეამჩნია ეს და ჰკითხა.

— თქვენო ბრწყინვალებავ რათა ხართ ასე აღშფოთებული?!

— მე თვითონ მიკვირს!—პასუხობს ისევ მხრების აჩეჩვით.

— მაინც?!

— მდგომარეობა თუმცა სერიოზულია, მაგრამ...

— კავკავისკენ, ხომ არ მიდიხართ?!—ასწია თავი მანჩამ და თვალებ დაჭყეტით შეეკითხა.

— აუცილებლად; შტაბმა ბრძანა შეტევა ვაწარმოოთ კავკავზე! საოცარია პირდაპირ. რით? ამაღამ თუმცა ჯავშნოსანი № 457 მოვა, მაგრამ რად მინდა, როცა შიგ არც ერთი ყუმბარა, არც ერთი მსროლელი, რომ არ ყოფილა! საკვირველია პირდაპირ!

და უცებ გაიღო კარები და შემოვიდა ბარდან ხოფე: მაღალი, წარმოსადეგი, თვალები შვეთრი არწივისებრ. შემოსვლისთანავე მიესალმა ყველას და იქვე დანჯღრეულ ტახტზე ჩამოჯდა.

— რას მიბრძანებთ თქვენო აღმატებულებავ!—თავაზიანად მიმართა მან.

— შენ ხომ მზად ხარ სამსახურისთვის!

— სიკვდილამდე თქვენო აღმატებულებავ!—უპასუხებს ის.

გახსოვდეს ერთგულებით ჯილდო, პატივს დაიმსახურებ!

— ეს თქვენი კეთილი გულის საქმეა ბატონო!

— ჩვენ არაფერს არ დავიშურებთ ერთგულ მამაც მებრძოლისათვის!

— გამიგონია, ბატონო!

— ჩვენ მას საპასუხისმგებლო საქმეს დავაკისრებთ!

— მსმენია ესეც, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— ჩვენ მას დავაწინაურებთ!

— ისიც ვიცი!

— და შენ ბარდან, ვიცი ერთგული, მამაცი ბიჭი ხარ. მისმინე, შემიძლია საიდუმლოება გამოგიცხადო?!

— ისე, როგორც ლამე შავი ძაღლებით გადასცემს უფსკრულს!

— გენდობი! მისმინე! განთიადამდე უნდა წავიდეთ აქედან. ჩვენი მთავარი შტაბი განადგურებულია. ეს ჯარისკაცებმა არ იციან. ყარაულოვის ბანდამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. დაგვრჩა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი. ამაღამ ჯავშნოსანიც მოგვემატება. მსროლელებით ჩვენ უნდა შევამსოთ, ეხლა გვჭირია გამბედაობა! შენ იქნები ჩემი მარჯვენა ხელი და გზის მაჩვენებელი

# პიონერები

ფოტო პიონერების კვირაკაშვილის და ავდრუშვილის.



ადგენენ კედლის გაზეთს.
წიგნის ხმამაღლა კითხვა.



ფოტო-სახელოსნოში.
ახალგაზრდა მოჭადრაკენი.



წითელი არმიელი აცნობს პიონერებს შაშხანა თოფის ხმარებას.
ახალგაზრდა ხეინკლები.

მე აქ არც ერთი ბილიკი არ ვიცი და შენ ყოველ ბილიკს იცნობ, მათთან ხარ შეზრდილი. შეიძლება ჩემი სიცოცხლე კავკავის ცივ მთებთან დავსტოვო, მაგრამ შენ გახსოვდეს სამსახური, მეფე და პატივს მიიღებ!

ბარდანს უჩვეულოდ აუბრწყინდა თვალ ები: ამ წუთს ელოდა ის. ხელები ხანჯალზე დაიდო.

— ჩემი ხანჯალი არც ერთი ბრძოლიდან სისხლ დაუსვრელი არ გამოვა. ჩვენ ვიბრძოლებთ და შედეგი ვნახოთ!

— უთუოდ, ცდა ბედის მონახევრეა!

— მაგრამ ჩვენ რა გვეშველება!—აწუწუნდა მანჩა.

— თქვენ ალბად გურჯისტანიდან ხართ, არა?!—შეეკითხა ბარდანი

— თავადი მანჩა ხალდაია!—გააცნო გოლიამ.

— გურჯისტანში გადასასვლელ გზებს მე მოგინახავ ი!

— ყველაფერი მოეწყობა! ეხლა ბარდან შენ იცი, ბიჭები გაამხნევე და მოამზადე!

— მესმის.

— აბა, შენ იცი მთების არწივო!

— ხალხის საკეთილდღეოდ თვითეულად დავიწყვეტ ძარღვებს!

მაგრამ, რომელ ხალხზე ამბობს?—ეს იცის თითონ!

და ბარდან ტან მოსხლეტით გაქრა ხეობებში.

## თავი მეორე

გზა შედის ტყეში. ტყე დახლართულია დაბლარდნილი ჟვერებით, სადაც სიჩუმეს გაშრიალება თუ დაარღვევს.

მარჯვნივ: მთა. ფერდობი. გადასავარდნი.

მარცხნივ: მთა-ველგორა, მინდვრები.

მთებშუა: ვერცხლისფრად ელავენ რელსები.

მთებიდან უბერავს ცივი ქარი, თითქმის ძვალრბილში ატანს. ცაზე მიფოფხავენ ღრუბლები და შუშის მთვარე ქრება ბოლისფერ უსაზღვრო ოკეანეში.

ფერდობზე ანთია ცეცხლი და ცეცხლს შემოსხდომიან პატრულები, ხელფეხ გათოშილი.

აქვეა ბარდან ხოფე, ის ცდილობს ჯარისკაცების ამხედრებას ოფიცრების წინაამდეგ. ამასთანავე ის თავდაჭერილია, ფრთხილი,

— რას იტყვით! განა მარტო ჩვენთვის უნდა ვიფიქროთ! რატომ არ ეკითხებით თქვენს ამხანაგებს თუ, რატომ იბრძვით ამ ულრან ტყეში. ხომ ხედავთ თერგის ოლქი რა ცარცვა-გლეჯაშია. განა ეს კარგია?!!

— მე ამას ყოველთვის ვამბობდი, მაგრამ მხილების მეშინოდა!

— ეხლა გარჩევის დრო არ არის! მაშ თქვენ ჩვენთან ხართ!... რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ჯავშნოსანი ხელთ უნდა ვიგდოთ! ხვალ ნაშუადღევზე წითლებიც აქ იქნებიან!

— ჩვენ მზად ვართ!

და უცებ ბარდანის ყურადღება უსაზღვროებაში ავარდნილმა ცეცხლის კრთომამ მიიპყრო. ფეხზე წამოდგნენ.

— იწვის!—წაიჩურჩულა ბაგეებმა

— ?!

— ვინ იცის!

— დაუგდეს ყური. ქარს მოჰქონდა მილეული ჟივილი. ბარდანის გულს ფრჩხილივით გაჰკრა რაღაც უაზრო იჭვებმა. ყმაწვილი ცერზე შეტრიალდა, მოიგდო ნაბადი და შე ძახა...

— წავიდეთ!

— ვიაროთ!—უპასუხეს სხვებმა და გასწიეს იქითკენ.

მიდიოდნენ ისინი ფრთხილად, აუჩქარებლივ ჩამობნელებულ გზით. გაიარეს რამოდენიმე მანძილი და ბნელაში შერხეულ ლანდმა შეაჩერა ისინი. ჩასაფრდნენ და მზად იყვნენ სროლისთვის.

— ვინ მიდის ?!—შესძახა ბარდანმა.

საპასუხო ხმა არ ისმოდა და ლანდი მიდიოდა ისევ. ქარი ფუტუროებში, ნახევრად გამძვრალ ხის ქერქში ზუოდა და ზუილს ისევ მოჰქონდა ჟივილი.

— შეჩერდი, თორემ გესვრით!

ლანდი შეჩერდა· თოფ მიმარჯვებული ბარდან და სხვა ამხანაგები მიუახლოვდნენ. მათ წინ იდგა ფარაჯიანი კაცი, რომელსაც მხარზე მოეგდო მოკლული.

— ვინ არის ეს?!

— ლიაშკო!—პასუხობს ის

— მერე რა დაემართა?! შეეკითხა ბარდან

— ალბად თქვენ ცეცხლი შენიშნეთ!

— მერე?

— ის ამათი ნამოქმედარია!

— როგორ?!

— ერთ ოჯახში შევცვივდენ. სახლში მხოლოდ მოხუცი და ქალიშვილი ყოფილა. ქალი გააუპატიურეს (პირადად ამან.) მოხუცმა საკუთარ ხელებით მოკლა აგი.

ამ სიტყვებთან ერთად მან ფარაჯა გადააძრო. ფარაჯა იყო ტალახიანი, დაჭმუჭნილი და იქიდან მოსჩანდა სისხლიანი მუცელი ნეკნებამდე გამოფატრული. ხოლო გარე გადმოწოლილი ფაშვი, შიგნეულობა სახელურით ჰქონდა აკრული...

— ღირსი ყოფილა!

— რას მიათრევდი! დააგდე აქვე!—უთხრა ერთმა ჯარისკაცმა.

— მოხუცი სადღაა?!—იკითხა ბარდანმა.

— დაიჭირეს და ჩვენი მხედრები მალე აქეთ გამოატარებენ!

ბარდან ჩაფიქრდა, მერე მიუახლოვდა ჯარისკაცს და უთხრა...

— შენი სახელი?

— იური!

— გესმის! იარე ჩვენთან! გააკეთე ის, რასაც ჩვენ გავაკეთებთ! აქედანვე ვამბობ ღალატისათვის მიგაბვრეტ. ეხლა ჩვენ იმათ გავანთავისუფლებთ და მერე ჯავშნოსანიც ხელში უნდა ჩავიგდოთ!

— კი მაგრამ ეს როგორ?! ეს შეუძლებელია?!!

— ეს ჩვენ ვიცით! ხედავ ამათ!—მიუთითა ირგვლივ მდგომ ჯარისკაცებზე.

— კი მაგრამ ..

— მაგრამ არაფერ შუაშია! ან ჩვენთან, ან ტყვია გულში!

— ვეცდები ავასრულო, მაგრამ მე მაინც საეჭვოდ მიმაჩნია!

— ამასაც ვნახავთ! ეხლა კი ჩასაფრდით, ნაბიჯი ისმის!

— ნაბიჯი ისმის!— განმეორდა ხმა ისევ. აშარიშურდა სივრცე და რამოდენიმე ხნის შემდეგ უკვე გარკვევით გაისმა ფლოქვების დარტყმა და ყველანი თოფ მიმარჯვებულნი გადაელობნენ წინ. ცხენები ფრთხვიალით, ფრუტუნით შეჩერდნენ.

— არ დაინძრეთ, თორემ!—დასჭყივლა ბარდანმა-

— ნუ სცხარობ ბარდან, დაუშვით თოფები. ეს მე ვარ ქენგურთი, რომ გელაპარაკები. ეს ჩვენა ვართ შენი მეგობრები.

თოფები დაუშვეს

— კი, მაგრამ აქეთ რა გინდოდათ! მე ხომ სულ სხვა ადგილზე დაგაყენეთ!

— ცეცხლის დანახვისთანავე წავედით იქით!

— იქიდან მოდიხართ?!—შეეკითხა ბარდან.

— დიახ!

— მერე და მოხუცი სადღაა?!

— გავანთავისუფლეთ! ისინი ამოვხოცეთ!

— მერე და მოხუცი! შეეკითხა ბარდან რატომღაც გულ აფართხალებით.

— აქ არის!

და ცხენიდან ჩამოდის ხმის ამოუღებლივ იგი. ბარდან უახლოვდება.

— სახელი მოხუცო!

— ჯელაილ! ნელა წარმოსთქვა მან.

— მე კი ბარდან, შენი შვილი!—შესძახა და გადაეხვია.

ქენგურთიმ უკან დაიხია

— ჯელაილ, ჯელაილ!

— შვილო ბარდან! შვილო ბარდან!

— სად არის ლამინა?!

— არ ვიცი! გაექცა ჯალათებს!

ყველა გაშეშებული იდგა და მათ გულში ზ ხლის, შურის ხლვა ღელავდა. შემდეგ ბარდანმა მოიშორა მოხუცის ჩაბღუჯული ხელები და შესძახა.

— წავიდეთ!

— საით?!

— ჯავშნოსანის ასაღებად! მათ გასანადგურებლად! წითელი დროშის ასაფრიალებლად!

— მაშინ ახალგაზრდებო, პირველად მე გამიშვით, მომეცით იარაღი! დეე პირველი სისხლი ჩემგან დაიღვაროს!

— ჩვენ თქვენთან ვართ! ქენგურთი და მისი შეგირდები მოვკვდებით და უკან არ დავიხევთ! - შესძახეს სხვებმა.

ვიღამაც მოხუცს იარაღი გადასცა. შემდეგ მოხუცი მოახტა ცხენს (რამდენადაც ეს მოხუცს შეეძლიან) და ცხენები ათოხარიკდენ.



ქანდაკება ქ ე ნ ე ტ ი ს.
**შრომის ძეგლი.**

უცებ გვერდით, ქვერებში რაღაცამ დგაფანი გაადინა.

— რა ხმაური იყო?!

— ალბათ ტოტი მოსტყდა ხეს! არაფერია! წინ! სთქვა მოხუცმა

გზა პატარა მანძილზე უხვევდა. მოსახვევთან ლანდმა გადაირბინა.

— ვინ არის?

ეს იცის ბნელმა, რადგან გზა ბნელში დაიმალა.

ეს იცის ხევმა, რადგან ბნელი ხევშია.

## თავი მესამე

სადგურზე არავინაა.

ნახევრად დამტვრეული ვაგონები ჩამწკრივებულია მესამე ხაზზე. ვაგონების გვერდით ყრია ხელ უმბები, ბომბები, ფიცრები, ქისტები სავაზნე ცარიელი ყუთები, ატალახებული თივა, მაზარის ნაგლეჯები და დახეული ჩექმების ძირები, მზესუმზირას ჩენჩი და შავი პურის გამხმარი ქერქები.

თითონ სადგურის საზურავი ჩატეხილია— ყუმბარა დაეცა, ორი თანამშრომელი მოკლა.

ბაქანზე ხართან ჩამოკიდული ფანარი ბჟუტავს ყვითლად და ფარნის გვერდით, ჩალეწილ მინებიდან მოსჩანდა უწესრიგოდ არეული ქაღალდების ხვავი და გ დაბრუნებული ტელეგრაფის აპარატი.

სადგურის მარცხნივ ბნელაში, რაღაც ყრუ გუგუნი გაისმა და გამაზრზენი ბღავილით შემოგოგდა ჯავშნოსანი. ჯავშნოსანმა ერთი ამოიგმინა და აღრიალდა მერე უკანა ვაგონიდან გამოვიდა უფროსი მაღალი, ხმელი. კარები დაჯკეტა და ფანრის ფერმიხდილ შუქზე გამოსულ მემანქანეს უთხრა..,

— რომ არავინაა, გაწყდენ თუ რა მოუვიდათ!

— საოცარია პირდაპირ!

— დასახვრეტია პირდაპირ, დასახვრეტი თითეული მათგანი!

— თქვენო აღმატებულებავ, ყველგან უწესრიგობაა, ყველგან ღალატი!

— რომ არავინ ჩანს! რომ არავინ მოდის! იფუშებოდა უფროსი - მეიძლება ადგილი გადაინაცვლეს! მეორე სადგურისკენ დაუყოვნებლივ, გესმის?

— კი მაგრამ!...

მაგრამ რა?!

საწვავი მასალა არ მაქვს! არც შეშა, არც ნახშირი, არც მაზუთი!

— ჰმ, ძაღლო! ამ უკანასკნელ სადგურში გინდა დამტოვო! რატომ წინდაწინ არ გამაფრთხილე!!

— თქვენი მომერიდა!

— თავს ნუ იკატუნებ!—რევოლვერის ტუჩი შუბლთან მიადო—ეხლავე დაგხვრეტ გესმის? მერე ისევ ძირს დაუშვა რომ საჭირო არ იყო ძაღლივით მოგკლავდი. მიეცი სიგნალი! განუწყვეტლივ აბღავლე უგებ გაიგონონ, რომ მოვედით! გესმის! ადი მანქანებთან!—უთხრა ეს და ფანრის სინათლით ოდნავ გაშუქებულ სვეტს მიეყრდნო. ქარი კი განუწყვეტლივ შრიალებდა მწვანე სვეტებში და ღამის უდაბურებაში გაისმა ჯავშნოსანის გამაზრზენი ღმუილი, რომელსაც მთები, ნისლჩაფენილი ხევები ებმაურებოდენ, მაგრამ პასუხი არსაიდან არ იყო, ბღავილი მიდიოდა შორს და იკარგებოდა ღამის შავ უდაბურებაში.

და უცებ ბნელიდან გამოფორთხდა, აქანთალებული. სირბილისაგან არაქათ გამოლეული იური და სულის მოუთქმელად დაიწყო...

— თქვენო აღმატებულებავ! ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჯარის კაცები გადაიბირეს... და ამოხოცვას გვიპირებენ!

— რას ამბობ?!

— მე თითონ ვიმყოფები ყველა ერს! მე თვითონ ვნახე ისინი!

— მერე სად არიან?!

— მალე აქაც მოვლენ... ჯავშნოსანის ხელში ჩაგდება სურთ!

მართლაც სიბნელიდან ცხენების თქარათქური მოისმა.

— სად არის სიმონ ნიკოლაევიჩი! წადი ჩქარა, აუხსენი მდგომარეობა!

— მესმის! - მიაძახა ნიურმა ერთი და გაირბინა ბაქანი, მაგრამ სიბნელიდან იჭექა თოფმა და მწვანე კარებთან მიწვა.

ჯავშნოსანის უფროსი დაიბნა. ვერ მოეფიქრებინა სად შესულიყო და ლევოლვერმომარჯვებული მემანქანესთან ავარდა.

მხედრები გარს შემოერტყენ მატარებელს.

— ბარდან! ხიშტები ჩააცავით ტყვიამფრქვევს!—ჰყვიროდა მოხუცი ჯელაილ ბრძოლის ცეცხლით, შურისძიების წყურვილით ანთებული

უცებ აგუგუნდა ორთქლმავალი, ათუხთუხდა მანქანა, აყარა ბოლი და ამოძრავდა.

# საკანი 79
## (საქ. სახკინმრეწვის სურათი)

სახკინმრეწვის ძველი პროდუქცია თავის სურათების სახით იძლევა მხოლოდ ქართველ ქალის აბალგაზრდა ტიპს, რომელიც მშვენიერად განასახიერა ნატა ვაჩნაძემ, ეს იყო ტანჯული ქართველი ქალი, რომელსაც იტაცებენ, ჰკლავენ, აუპატიურებენ სხვა!

ნატას სახეზე ცრემლი არ შრებოდა, შეიქნა ერთგვარი შებედულება ქართველ ქალზე, ეს იყო დიდი შეცდომა სახკინმრეწვის ძველი სამხატვრო ხელმძღვანელობისა.

სურათი „საკანი № 79“, რომელიც ეხლა იდგმება სახკინმრეწვში, იძლევა სრულიად ახალ ტიპს ქართველი ქალისას, ეს არის ძლიერი ნებისყოფის, ქართველი რევოლუციონერი დედა.

ალექსანდრე მესამის დესპოტიურ რეჟიმმა არა ერთი რევოლიუციონერი იმსხვერპლა. ცოლ-ქმარი რევოლიუციონერები დატუსაღებულნი არიან. ქმარი სახრჩობელაზე მიჰყავთ, ცოლი იგზავნება სხვა რევოლიუციონერებთან ერთად კატორღაში. მათ რჩებათ უპატრონო ბავში, რომელსაც იშვილებს ერთი უშვილო ფაბრიკანტი. გაივლის რამოდენიმე ხანი. შვილი სულ გადაგვარებული პროკურორის თანამდებობას ეძებს, მას სურს თავი გამოიჩინოს რომელიმე დიდ პროცესში, რომ მიიღოს პროკურორობა. დედა ბრუნდება კატორღიდან და ეძებს თავის შვილს, ამასთანავე სხვა რევოლიუციონერებთან ერთად აჩაღებს რევოლიუციონურ მუშაობას.

რამოდენიმე რევოლიუციონერი სასიკვდილოთ მისჯილნი არიან ელოდებიან სასამართლოს განაჩენს. რევოლუციონერები და, მათთან ერთად, დედა, გადაწყვეტენ მათს განთავისუფლებას. გეირაბი ჯერ არ არის მზად. გადასწყვეტენ რაიმე ზომის მიღებას. დედა მიდის პროკურორთან, რომელიც აღმოჩნდება ძისი შვილი, მაგრამ უკანასკნელი იმდენად გახრწნილია, რომ ვერავითარი თხოვნა და მუდარა მასზე არ მოქმედობს და დედა სასამართლოში ჰკლავს თავის შვილს. გვირაბი მზად არის და რევოლიუციონერები თავისუფლდებიან.

დედის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი ნუცა ჩხეიძე, რომელიც პირველად გამოდის კინემატოგრაფში. დადგმა რეჟისორ შაქრო ბერიშვილის.

ოპერატორი ა. დიღმელი,

სცენარი შალვა ალხაზიშვილის და

სიკო დოლიძის.

შ. ა.









— ამხანაგებო, გაგვექცა! ლიანდაგზე დაადევთ ხელები! უყვიროდენ უწესრიგოთ, მაგრამ მოზუცი ჯალაილ გამოვარდა წრიდან, გაიქცა სირბილით და ისარი გადასწია. ჯავშნოსანი ჩიხში შეიჭრა, შეჩერდა.

— და ბრუნე უკან! იარე!—უყვიროდა მემანქანეს ჯავშნოსანის უფროსი, მაგრამ ორთქლმავალი ხრიალებდა მხოლოდ და არ იძროდა. მაშინ ნახევრად ღია კარებიდან გამოყო რევოლვერი და იწყო სროლა, მაგრამ მას არც კი შეუმჩნევია ჯალაილ თუ, როგორ მიუახლოვდა. ჰკრა მაჯაზე ხიშტი და რევოლვერი ხელიდან გააგდებინა. სწორედ ამ დროს თითონ მემანქანემ მარჯვენა ფოლადის კვრით ძირს ჩამოაგდო უფროსი, დაენარცხა ქვაზე და განუტევა სული.

— ძიდით ძმებო! ორთქლმავალს თქვენთვის ავამოვ რაცებ. მსროლელებმა დაიკავეს თავიანთი ადგილი. აჰა კოლტები, შედით ვაგონში. ტყვია წამალი ყუთების უკანაა დამალული, მოიხმარეთ!— გადმოსძახა მემანქანემ და კლიტე გადასცა ჯალაილს. ისმოდა „ურას“ ძახილი და ორთქლმავალი გამაზრზენი ხმით ბღაოდა.

***

შიშით იყო სავსე ვაგონი, რომელიც ასე სულ შესახუთად ჩამოწვა მთებში.

თავადი მანჩა შიშისგან ნიკაპ აკანკალებული რამოდენიმეჯერ ეუბნეოდა სიმონ ნიკოლოზის ძეს

— რა ხდება! ეს რა ხმაურია?

ის კი უაზროდ თვალებდაჭყეტილი ხშირად რევოლვერს ჰკიდებდა ხელს.

— არ ვიცი თავადო! ალბად დაინახავთ!

— ეს რა ხმაური იყო სიმონ! მატარებელი რათ გაჰკივის ასე!

— ხომ არ შემოგვეპარნენ ის სულ ძაღლები!

— მერე სადგურიდან რა ხმაა, რომ მოისმის!

— აბა მე რა ვიცი, თავადო!

გოლია სდუმდა ჩვეულებრივ და ბოტო გამოხედვით სხვილ თვალებს ავლებდა ირგვლივ... არც ერთი ადგილიდან არ იძროდა. იყვნენ ისე გაშეშებულნი და გარინდულნი.

— თავადო! როგორ მოვიქცეთ, თუ რამე იქნა, ამოგვხოცავენ!

— გავიპაროთ!

— მერე როგორ, გზა რომ არ ვიცით?! სუ! შესძახა უცებ სიმონმა—ნაბიჯი ისმის!

— ნაბიჯი ისმის!— წაიბუტბუტა მანჩამ თავისთვის.

— რას იზამ! ბედს ვერ გაექცევი!

— მერე და სიმონ რა ნაბიჯებია?

— რა გემართება, თავადო, დღე სულ „რას“ რომ გაიძახით!

და მართლაც ფილაქნები ამოდიოდენ ბნელაში ჩაკიდულ კიბის საფეხურებზე. კიბე ჭრაჭუნობდა და ესმოდა ყველას თუ, როგორ ბრახუნებდა ლურსმნიანი ქუსლები...

სიმონმა რევოლვერი მომართა და ტუჩი კარებს მიუშვირა, მერე მანჩამ მოჰკიდა ხელი.

ტყუილათ ფიქრობთ სროლაზე! სჯობს გაჩუმდე! და სწორედ ამ დროს გაიღო კარები და გამოჩნდენ გამოშვერილი ხიშტები, ცივი ლულები და ლულებს იქით სიბნელეში, მრისხანე თვალები.

— თქვენ დაპატიმრებული ხართ!—უთხრა მათ უნგურთიმ—ჰალხირ, გაიყვანე!

ისინი სდუმდენ. იარაღი აიყარეს და რამოდენიმე წუთის შემდეგ ნელა გაგრძელებით აჭრაჭუნდა სიბნელეში ჩაკიდული კიბე.

და მოხდა ასე, რაც ზემოდ აღენიშნეთ. არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შტაბის შენობაში მეთაურთა ტყვიამფრქვევებით სროლას, რომელიც რამოდენიმე წუთს გაგრძელდა.

# „სადაც ჰყვავიან მანდარინები"



## აჭარისტანის ნარინჯი (მანდარინი)

აჭარისტანი, საქ. ს. ს. რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკაა. აქ არ არის არც ნავთი, რომლითაც მდიდარია ბაქო, არც მარგანეცი და არც სხვა რამ სიმდიდრე. მაგრამ მიუხედავად ამისა, აჭარისტანს ძველადაც აწყდებოდა იოლ მოგების მოყვარული ხალხი. რა იზიდავდა მათ?

აჭარისტანის სიმდიდრე გამოიხატება მისი სუბტროპიკულ ჰავით, რომელიც ერთად-ერთია მთელ საბჭოთა კავშირში. თბილი ჰაერი, უთოვლო ზამთარი, ზამთარში წვიმები, რომლებიც აპოხიერებენ მიწას და იშვიათ ნიადაგს ამზადებენ სუბტროპიკული მცენარეებისათვის, რაც სახელმწიფოს მილიონებს სძენს, აი აჭარისტანის სიმდიდრე.

მხოლოდ აქ, მთელ საბჭოთა კავშირში, შეხვდებით თქვენ უშველებელ ფოთლოვან ლეღვის ჭალებს, უშველებელ ჩაის პლანტაციებს, ლიმონის და მანდარინის ბაღებს.

აჭარისტანს ხშირად ადარებენ რივიერას, მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ მას იაპონიას შევადარებთ.

რივიერაში მანდარინის კულტურის საუკეთესო სახეების, ე. წ. იაპონიის უნ-შიუს, გავრცელებამ გაცილებით ნაკლები ეფექტი მოიტანა, ვიდრე ბათომის მიდამოებში. საბჭოთა კავშირის ამ პატარა კუთხის, საბჭოთა ტროპიკების ჰავა, გაცილებით უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა იაპონური მანდარინებისათვის. მანდარინები აქ იზრდება, როგორც ყურძენი კახეთში, დიდ მტევნებათ, რომელიც ფარავს ფოთლებს და მიწასთან ღუნავს ტოტებს. ჩვენებური უნ-შიუ თვალსაჩინოა იმით, რომ არა აქვს ქერქის სუნი და უკურკოა. აქ მანდარინი მოდის ერთი თვით ადრე, ვიდრე იტალიაში და ნოემბერშიც კი მთელი არე წითლად არის მოფენილი მით.

უნ-შიუს არ ეშინია ყინვების. მისი მოსავალი ნაღდია. თითო ხეს შეუძლია მოგვცეს 1000 ცალი მანდარინა.

მანდარინები, ფორთოხალი და ლიმონი, ეს სამი დარგია ციტრუსოვანთაგან, რომელთაც მოსპეს აქ მიწად-მოქმედება. მათ განდევნეს სიმინდის ყანები და თანდათანობით იკავებენ მთელ მიწას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის ამ ახალმა სახემ აჭარელი გლეხი გამოიყვანა გაჭირვებულ მდგომარეობიდან, ვინაიდან აქ გლეხს ყველაზე ნაკლები მიწა აქვს, ვიდრე რომელიმე სხვა კუთხის გლეხს მთელს ამიერ-კავკასიაში.

უკანასკნელ ხანებამდე ამ კულტურას აკლდა გეგმიანობა, მეცნიერული საფუძველი. დროებითი პატრონები, დენიკინელები, ინგლისელები, მენშევიკები არა თუ ზრუნავდნენ მისი განვითარებისათვის, არამედ ხელოვნურად უსპობდნენ მას ბაზარს, ჰკეტავდნენ საზღვრებს და ამით სრულ დაცემამდე მიიყვანეს სუბტროპიკული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი დარგი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰპოვა ამ კულტურამ თავისი ნამდვილი პატრონი.

იქმნება სპეციალური ლაბორატორიები, არსდება კომისიები, რომლებიც სწავლობენ ამ კულტურას და მუშაობენ მის განვითარებისათვის.

ახალ-ახალი პლანტაციები შენდება, რომლებიც ამდიდრებენ ამ მხარეს, ზრდიან აჭარისტანის სასოფლო ბიუჯეტს.

# ზემო-სვანეთი

ზემო-სვანეთი მდებარეობს კავკასიონის მთების ცენტრში. მის ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს კავკასიონის მთაგრეხილის ყველაზე მაღალი ნაწილი, სამხრეთის კი—სვანეთის მთაგრეხილი. ამ ორ მთაგრეხილს შუა მდებარეობს სვანეთი. საქ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით სვანეთის მიერ დაკავებული ფართობი უდრის 3051 კვადრ. კილომეტრს, 12.000 მცხოვრებით. სვანეთს სჭრის მდინარე ინგური, რომელსაც გარშემო მდებარე მთებიდან ერთვის მდინარეები და წყაროები მყინვარებიდან, რომლებიც ჰქმნიან ლამაზ, ვიწრო ხეობებს. სვანეთი გაშლილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ასე რომ მთელი დღის განმავლობაში მზის სხივებში ბანაობს. მთაგრეხილის მწვერვალები არა თუ ავიწროებენ ჰორიზონტს, არამედ, პირიქით, ქმნიან ლამაზ კონტრასტს თოვლიან მწვერვალებთან—შხარი (5195 მეტ.), თეთნულდი (4854), უშბა 4725), და ლაილა (4008 გ). ამათგან პირველი ორის სიმაღლე გაცილებით აღემატება მონბლანის სიმაღლეს.

მეფის დროს სვანეთი მეტად დაბეჩავებული იყო. მაშინდელი მთავრობა არ აქცევდა არავითარ ყურადღებას სვანეთის ეკონომიურ და კულტურულ გაჭირვებას. იგებოდა ეკლესიები, ხელოვნურად ავრცელებდნენ ქრისტიანობას და სვანეთი ძველებურად რჩებოდა კარჩაკეტილი, კულტურულათ ჩამორჩენილი, მიწის დამუშავების პირველყოფილი საშუალებებით.

ოქტომბრის რევოლუციამ სვანეთში 1918 წელს მიაღწია. მან მოსპო მემამულეების პატარა ჯგუფის ბატონობა სვან-გლეხებზე. სამოქალაქო ომის გამო, სვანეთის აღმშენებლობა და განვითარება დაიწყო მხოლოდ 1921 წლიდან—საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტიდან. საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო გაძლიერებული კულტურული მშენებლობა. მსხვილ სოფლებში გაიხსნა პირველი საფეხურის სკოლები, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე სწარმოებს. მესტიაში გაიხსნა გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა, იგება საავადმყოფოები, ეწყობა მოსახლეობის მომარაგება საქონლით კოოპერატიული გზით. მიმდინარე წელს მესტიაში გაიხსნა პირველი აბანო. 1925-26 წელს სვან-მოსახლეობის თვითდაბეგვრის წყალობით და აღმასკომის ინიციატივით მდ. ინგურის ხეობაში აღდგენილ იქნა ცხენის გზა. 1929 წელს ამ გზის აღდგენაზე მუშაობდა 3.900 სვანი. ზოგიერთი გლეხები სამუშაოზე მოდიოდნენ 50-60 ვერსის მანძილიდან და მთელი კვირაობით რჩებოდნენ იქ. ამჟამად ცენტრის მიერ გაღებულია საჭირო თანხა საავტომობილო გზის ასაგებათ, რომელიც გაივლის შავი ზღვის დაბლობებს. ამ გზის დამთავრება განზრახულია 1931 წელს.

სვანეთის მოსახლეობა მისდევს მიწის დამუშავებას და მესაქონლეობას. მიწის დამუშავების საშუალებები მეტად ჩამორჩენილია: ხის კავი და

სხვა პრიმიტიული სას. სამ. იარაღები. ტვირთის გადაზიდვა მარხილებით ხდება. სვანეთმა არ იცის თვლებიანი ტრანსპორტი. უგზოობის გამო თივის დამზადება შეფერხებულია და ამის გამო მესაქონლეობას არა აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას უნდა ჰქონდეს საუცხოვო მთის საბალახოების არსებობის გამო.

კუსტარული წარმოება სვანეთში არ არის. ამიტომ ტანსაცმელს და მეურნეობაში საჭირო ხელსაწყოებს სვანები აკეთებენ მეტად პრიმიტიული იარაღების საშუალებით. მრეწველობა სულ არ არის, რის გამო სვანები იძულებული არიან სარჩოს საშოვნელად წავიდნენ მეზობელ რაიონებში.

სვანები ცხოვრობენ კოშკებში, რომლებიც აგებულია ქვა-კირისგან. მიუხედავად ტყის სიუხვისა, აქამდე ხე-ტყე, როგორც საალმშენებლო მასალა, ხმარებაში არ არის, რაც აიხსნება ცეცხლის გაჩენის შიშით მტრის დაცემის დროს. ფანჯრები სახლებს არა აქვთ. მათ მაგივრათ არის პატარა ჭუჭრუტანა-სათოფურები. სახლები ძალიან მაღლებია, ზოგჯერ ათი საჟენი. სახლები ახლოს არიან ერთი-ერთმანეთისაგან, რომ მტრის დაცემის დროს შესაძლებელი გახდეს თავის უკეთ დაცვა.

სვანეთში ჯერ კიდევ მტკიცეა ძველი ადათჩვეულებები. მაგ. ქორწილს იხდის არა მარტო მეფე-დედოფლის ოჯახი, არამედ მთელი საგვარეულო და სოფელი. ქორწილისათვის დიდხანს ემზადებიან და ყოველ თანამესოფლეს მოაქვს საჩუქარი ჯვარდაწერილებისათვის. პატარძალში აძლევენ გამოსასყიდს მის საგვარეულოს. ჩვეულებრივ პატარძალს რამდენიმე წლით ადრე ნიშნავენ და შემდეგ თანდათანობით აძლევენ მის გამოსასყიდ თანხას. ხანდახან შეიძლება აიცდინო ამ თანხის მიცემა საცოლოს გატაცებით, მაგრამ ამ ნიადაგზე წარმოიშვება საგვარეულოთა ინტერესების შეჯახება, რომელიც ბოლოს გადადის საცვარეულო შურისძიებაში.

დასაფლავებაც ძვირად უჯდება ოჯახს. სვანებს სჯერათ საიქიოს არსებობაში და ცდილობენ შეასრულონ გარდაცვალებულის სურვილები უფრო მეტად, ვიდრე სიცოცხლის დროს. ქელეხის გამართვაში მონაწილეობს გარდ ცვალებულის მთელი გვარი. ცხვება ათასამდე პური, რომელიც ურიგდება დამსწრეებს, იხოცება აუარებელი საქონელი და ხდიან ძალიან დიდი რაოდენობით არაყს.

ყოველგვარ ასეთ წესების შესრულებას თან სდევს არყის სმა, რომელიც მზადდება ქერისაგან. ყოველ სვანის ოჯახში მოიპოვება არყის სახდელი ქვაბი.

სისხლის აღების მხეცური წესი აქამდე არ არის აღმოფხვრილი. აღმასკომის თავმჯდომარის ნჟვერიანის სიტყვით 1918-24 წლებში შურისძიების ნიადაგზე დაიღუპა 600 მოზრდილი მამაკაცი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმასკომი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს სისხლის აღებასთან და ამჟამათ წელიწადში სისხლის აღების მხოლოდ 4-ა შემთხვევაა.

ყველაზე საშინელი სისხლის აღებაში ის არის, რომ ხშირად სისხლის ამღები იძულებულია, თავისი სურვილის გარეშე, იძიოს შური, ვინაიდან თუ მან ეს არ შეასრულა მაშინ მთელ საგვარეულოს ეცება სამარცხვინო ლაქა.

სვანების ცხოვრებაში ბევრი უარყოფითი მოვლენების მიუხედავათ, ახალგაზრდა სვანებში დიდი ლტოლვაა ცოდნისა და კულტურისადმი. საავტომობილო გზა, რომელიც იგება და რომელზედაც ყოველ სვანის ოჯახში ლაპარაკობენ, მოსპობს სვანეთის განცალკევებას, ასწევს მეურნეობას და სწრაფად მოსპობს ძველ, მავნე ზნე-ჩვეულებებს. ქვეყნის ბუნებრივი პირობები,— მზის სინათლის სიუხვე, ადგილის სიმაღლე, მთის ჰაერი, მინერალური წყაროების დიდი რაოდენობა,—განავითარებენ საკურორტო მშენებლობას. გამოყენებული იქნება სვანეთის ჩანჩქერების თეთრი ნახშირი, რომელიც ქვის კილაპოტებით არის შებოჭილი.

სვანეთი, თავი ბუნებით, არქეოლოგიური ძეგლების სიუხვით და თოვლიანი მწვერვალების სხვადასხვაობით, მიიზიდავს თავისკენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ბევრ ტურისტს.

აღმასკომის თავმჯ. ს. ნჟვერიანი



ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სოფ. ლოხამულში (სვანეთი).



სოფ. მესტიაში სწავლა-განათლების გარშემო საუბარი



ზემო სვანეთში: „დედის დღეობა“ მგლოვიარე დედის სახელობაზე.



არაყის გამოხდა.



თივის გადაზიდვა მარხილებით.





სვანეთის სოფლის მეურნეობა პირველყოფილ იარაღით.





მესტიაში ახლად დაარსებული ცეცხლისმქრობელი რაზმი

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღეს გლეხები საბჭ. მრეწვის მუშებთან ერთად მუშაობენ კოლექტივებში.



სოფ. კავთისხევის გლეხები მთავრობას პურს აბარებენ.



საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს მეცხვარეობას. უცხოეთიდან გამოწერილია საუკეთესო ჯიშის მაღალი ცხვარი, რომელიც გაანაყოფიერებს ადგილობრივ ჯიშის ცხვრებს.



სოფ. თვალადის გლეხები ჭაობს აშრობენ.



სოფ. თვალადის გლეხები ჭაობის დასაშრობათ არხსა სთხრიან.



გორის მაზრის ხილის დამამზადებელთა კურსების მსმენელები.



ვორონცოვკაში შვეიცარიის ყველის ქარხანა.



ვორონცოვკის რაიონში (სომხეთში) კარაქის დამზადება და კოდებში ჩაწყობა.



ბორჯომის კოოპერატიული წრე და ლიკპუნქტი, სადაც კოოპერატივის წევრები სწავლობენ წერა-კითხვას გ. ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით.

6/73.

მთავლიტი № 4500 ტირაჟი 4.500 პ/ტ მე-5-ე სტამბა. გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა.